




# ბარბაკა

საბჭოთა  
№ 8 1987







ინდოეთის დელეგაცია  
თბილისში





# საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 ივლისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში.

მოსხენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატინაშვილი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა გ. ვ. ბედინიშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გადაუხადა პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ნ. ა. ფოფხაძე და გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ა. შ. იოსელიანი, რომელიც მანამდე საქინფორმის დირექტორად მუშაობდა.

# გაავსართოოთ საჯაროობა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევა უმაღლესი საბჭოს შეიქმნა სესია

18 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის შეიქმნა სესია.

სესიის განსახილველად გატანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში;

2. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის ამალგება საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის დაცვისათვის პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მოსხენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატმა ო. ე. ჩიბრაძემ.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი ბ. ბ. გილაშვილი.

სურათზე: საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს შეიქმნა სესიის სხდომათა დარბაზში.



პროლეტარებო ავილა ქვეყნისა, შეერდით!

ქართული

**დროშა**

№ 8 (608), აპრილი, 1987

შურნალი გამოდის 1988 წლიდან  
სოციალისტური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური-  
სამხატვრო შურნალი

## ნომერი 8:

ოთარ ჭინჭაძე. გარდაქმნის ზნეობრივი ასპექტი.

ბრისტან ჩინჩილაკაშვილი. შეხვედრები კრემლში.

რემ დავითაძე. „კუნძული კრემლში“ ანუ ვ. ი. ლენინის წერილები პარტიდან თბილისში.

ბრისტან ჩინჩილაკაშვილი. ლევან ხინჭაძე. მოწვეული ზორბეთი.

თეა ჯალაღანი. პოლ გოგინი. ლევან პოლოსინი. ხარბი ვარ. გოლფსტრიმის უკველესი საიდუმლო.

სერგო თურნაძე. ილია და უცხოელი მოღვაწეები.

ვასილ მჭედლიშვილი. ადრიანო ჩილენტანო მოწოდება.

გიორგი მირიანაშვილი. რემოლუციის ჯარისკაცი.

„გაუთრებელს უნდა იცნობდე!“ გიორგი მჭედლიშვილი. საქართველო გზათა გასაქარზე.

აკაკი სურგულაძე. ორფიოსის ნაქაქაქი.

გივი გამრბელი. როცა გოლი ძირად ფასობს.

საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

## მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

## სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა გიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ენვაჯია, ვასილ მჭედლიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარბიანი, უჩა ჯაფარიძე.

დროშა 1

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
პოლიტიკური და  
სამხატვრო შურნალი







სიის მონაწილეები უსხედან, მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— ჩვენი პროექტი მთლიანად განხილული იყო სათანადო ინსტანციებში, თქვენც იღებდით მონაწილეობას განხილვაში, — მიმართავს ერთი მეორეს.

— მე არავითარ განხილვაში მონაწილეობა არ მიმიღია, — ასეთია პასუხი.

რა ვქნათ?

როგორ გავიგოთ, ვინ არის მათ შორის მართალი?

დიალოგი კი გრძელდება:

— უნდა მიგელოთ ორი ნებართვა... თქვენ კი არც ერთი არა გაქვთ.

— მე გარბეული კაცის არაფერი მწამს.

— დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ საჯაროობაზე, დემოკრატიაზე და ვცდილობთ, რაც შეიძლება მართლები ვიყოთ...

უნდა ვიყოთ.

ბოლომდე მართლები.

და ვესწრაფოდეთ მართალი სინამდვილის წვდომას.

ამისათვის. კი ხელთ უნდა გვეპყრას მართალი ინფორმაცია, ესე იგი ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის ან ვისიმე მოღვაწეობის შესახებ.

მარტოდენ საჯაროობა იძლევა ამის ნაღდ შესაძლებლობას.

საჯაროობა მართალი ინფორმაციის უტყუარი გარანტია.

— პარტიული კომიტეტები და ორგანიზაციები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მუდამ უნდა გრძნობდნენ საზოგადოებრივი აზრის მაჯისცემას, ამას უნდა შეუჭრონ მიღებული გადაწყვეტილებანი და თავიანთი მოქმედება.

ასე ითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ითქვა 1987 წლის 25 ივნისს.

საზოგადოებრივი აზრის მაჯისცემა!

ბევრი რამ ეწირება მსხვერპლად დაფარულ ინფორმაციას.

ადამიანი.

საქმის ინტერესები.

ზნეობრივი ღირებულებანი.

სულ ახლახან გამოქვეყნებულ ილია ერენბურგის მოგონებებში — „ადამიანები, წლები, ცხოვრება“ ერთი ეპიზოდი აღწერილი.

საინტერესო, შთამბეჭდავი ეპიზოდი.

მოგონებების ავტორი აღწერს ნ. ს. ხრუშჩოვთან მის შეხვედრას და დასძენს:

— მე ვცადე, გამოვქომაგებოდი მიხეილ ზოშჩენკოს, რომელსაც ბრალსა სდებდნენ შეთხზულ, დაუსაბუთებელ დანაშაულში. ჩემს სიტყვებზე ნ. ს. ხრუშჩოვი მოიღუშა. მან თქვა, რომ „ზოშჩენკო ცუდად იქცევა“: ლენინგრადში ინგლისელ სტუდენტებს შესჩვილაო. მაშინ მე მოგუყევი, რაც სინამდვილეში მოხდა.

ისიც ვუთხარი, რომ მიხეილ ზოშჩენკოს არც კი უნდოდა მათთან მისვლა, მაგრამ

შეხვედრა დაძალეს-მეთქი. შეხვედრის მონაწილე ერთმა სტუდენტმა მას ჰკითხა

— ეთანხმება თუ არა იგი შეფასებას, რომელიც მას უდანოვმა მისცა. ზოშჩენკომ უპასუხა, რომ მას „ნაძირალა“ უწოდეს და ეს რომ მას სწორად მიაჩნდეს, ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა. ეს იყო და ეს. მაგრამ, ვილაცამ შეთხზა საძაგელი ვერსია — „ზოშჩენკომ ინგლისელებს შესჩვილაო“. ნ. ს. ხრუშჩოვი დიპლომატი არ ყოფილა და როცა მას ვუყურებდი, ერთბაშად მივხვდი, რომ მას ჩემი არ სჯეროდა. მიპასუხა კიდევ: „მე სხვა ინფორმაცია მაქვსო“.

სხვა ინფორმაცია.

რატომ სხვა?

ხომ შეიძლება ყველას ერთი და თანაც სწორი ინფორმაცია ჰქონდეს.

უნდა ჰქონდეს!

უნდა ვებრძოლოთ ასეთ გამოვლენებს, მაგრამ უნდა ვებრძოლოთ საჯაროდ და აშკარად.

გულახდილობის, საჯაროობის ვითარება ზნეობრიობის ბარომეტრია.

ბარომეტრი იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობისა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფა-ქცევას.

ზნეობა არ არის განყენებული ცნება, იგი კონკრეტულია.

სოციალიზმი მაღალი ზნეობის ისეთი საზოგადოებაა, სადაც იდეურობა ზნეობრიობას უკავშირდება.

სოციალისტური ზნეობის ეს თავისებურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ გამოკვეთა საგანგებოდ:

— ვერ იქნები იდეური ადამიანი, თუ არა ხარ პატიოსანი, ნამუსიანი, წესიერი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი.

საზოგადოების თითოეული წევრის ზნეობრივი ჯანმრთელობა — მთელი საზოგადოების ჯანმრთელობის საწინდარია.

საზოგადოების ზნეობრივი გარდაქმნის პროცესმა თავისებური ზნეობრივი რევოლუციის ხასიათი მიიღო.

ეს სავესებით კანონზომიერი მოვლენაა.

ისიც კანონზომიერია, რომ უპატიოსნობის, სიცრუის, სიბილწის, პარაზიტუზმის საქვეყნო მხილება ცვლის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ატმოსფეროს.

ახლა, როცა ვითარება შეიცვალა და ჩვენ სხვაგვარი ამოცანები უნდა გადავჭრათ, მ. ს. გორბაჩოვის ეს სიტყვები განსაკუთრებულ უღერადობას იძენენ.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო — უთქვამთ ძველ ბერძნებს.

მართალია ეს.

მაგრამ, იქნებ მაღალი ზნეობის მატარებელ ჯანსაღ სულსაც ძალუძს, რათა ჰქმნას ჯანსაღი სხეული.

მრავლისმეტყველია გარდაქმნის ზნეობრივი ასპექტი.

1936 წლის 23 თებერვალს აღინაშნა წითელი არმიის ქართული ეროვნული ნაწილების შექმნის მეთხუთმეტე წლისთავი, ხოლო ორი დღის შემდეგ ქართველმა ხალხმა იხეიმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთხუთმეტე წელი. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიანზე, რომელიც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს სახელით სიტყვა წარმოთქვა სკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა კლიმენტ ვოროშილოვმა.

მარშალმა დამსწრეთა ტაშის გრიალში სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი გადასცა მხიურ საქართველოს, რომელიც სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის დაჯილდოვდა. საქართველოში დაწყებულმა ზეიმმა მოსკოვში გადაინაცვლა. დედაქალაქის მშრომელები თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებში გულმხურვალედ ხვდებოდნენ ლენინის ორდენის საბჭოთა საქართველოს წარგზავნილთ.

1936 წლის 19 მარტს საქართველოს დელეგაციის წევრები კრემლში მიიღეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა. ქართველი მუშები, კოლმეურნე გლეხები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრებს აცნობდნენ თავიანთ მიღწევებს.

— „ჩვენ, მოხუციებიც და ახალგაზრდებიც, ახალ ადამიანებად შევიქვით“, — განაცხადა მხცოვანმა მეცნიერმა, პროფესორმა ალექსანდრე ჯანელიძემ.

საქართველოს დედაქალაქის ზრდა-განვითარებაზე ილაპარაკა თბილისის მშრომელთა დელუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მიხეილ ნიორაძემ. მან მთავრობას მოახსენა: თუ 1921 წელს ქალაქის მოსახლეობა 230.000 კაცს შეადგენდა, ახლა ის 500.000-მდე გაიზარდაო. შეხვედრაზე თავიანთი დარგების წარმატებათა შესახებ ილაპარაკეს თბილისელმა მჭედელმა დავით ჭიჭინაძემ, მსახიობმა აკაკი ხორავამ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლავოდეხელმა პლატონ ბარბაქაძემ, კოლხიდში მთავარმა ინჟინერმა გრიგოლ გეგეჭკორმა, მხატვარმა მოსე თოიძემ, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ, პოეტმა პაოლო იაშვილმა, მფრინავმა რუსუდან ჟორდანიამ, სპორტსმენმა დიმიტრი იოსელიანმა, თბილისელმა ფრიადოსანმა მოსწავლემ ეთერ გვანცელაძემ და სხვებმა.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 22 მარტის დადგენილებით ორდენებით დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკის 146 წარმომადგენელი.

25 მარტს კრემლში შედგა მთავრობის ჯილდოების საზეიმო გადაცემის ცერემონიალი. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანმა გამოაცხადა:

„წითელი დროის“ ორდენით დაჯილდოებულია ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოადგილე გიორგი ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე.

პრეზიდიუმის მაგიდისკენ მხედრული ნაბიჯით მიიბიჯებს ტანმაღალი და მხარ-





# უახვედრეუბი კრეულუი

ბეჭიანი ვაჟკაცი, რომელსაც საყელოს-თან მიბნეულ „პეტლიცებზე“ სამი „რომბი“ უკეთია, ვულმკერდს კი ორი ორდენი უმშვენებს. „საკავშირო მამასახლისი“ მიხეილ კალინინი გიორგი ქუთათელაძეს დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცემს საბრძოლო ჯილდოს.

პრეზიდენტის მაგიდასთან „წითელი დროშის“ ორდენის მისაღებად მიემართებიან: მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური თედორე ბუაჩიძე, ი. ბ. სტალინის სახელობის 1-ლი ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაური ლეონიდე ალლაძე და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამართველოს უფროსის მოადგილე ოლიფანტე უგულავა. „წითელი ვარსკვლავის“ ორდენს იღებენ მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო პოლკის მეთაური კონსტანტინე ლესელიძე და საკავალერიო პოლკის მეთაური ალექსანდრე მოსიძე; „საპატიო ნიშნის“ ორდენს — მ. ვ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი პლატონ მიროტაძე, 1-ლი ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის პოლკის მეთაური იაკიმ ბაქრაძე, საკავალერიო დივიზიონის მეთაური ვლადიმერ ხუბულური; ასეულების მეთაურები: ვალაქტიონ კუჭავა, არისტარხ შენგელია, ზელიმხან ხარებოვი, ასლან ბაჯალიძე და სხვები.

დარბაზის თაღებს აზანზარებს დაჯილდოებულთა მჭეჭარე ხმები:

**ოლიფანტე უგულავა:** — ვკისრულობ, ერთგულად ვემსახურო მშრომელ ხალხს! ვიმუშაო სტახანოვური წესით!

**სოსო ბუაჩიძე:** პირობას ვიძლევი, უფრო კარგად ვიმუშაო დივიზიის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების განსამტკიცებლად, გავხადო დივიზია სტახანოვურ დივიზიად!

**კონსტანტინე ლესელიძე:** პირობა მიკვიცო სახკომს, მარშალ ვოროშილოვს, გადავაქციო ლევიონი სტახანოვურ ლევიონად, ჩავაყენო ის საუკეთესო ნაწილების მოწინავე მწყობრში!

ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაჯილდოებულთა ჯგუფთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღეს, რომელსაც ამ წერილთან ერთად ვაჭვეყნებთ.

იმავე საღამოს ი. ბ. სტალინმა საქართველოს სამხედრო დელეგაციის მეთაური გიორგი ქუთათელაძე, სხვა დაჯილდოებული მაღალი რანგის მეთაურები, პოლიტმუშაკები და საქართველოს მშრომელთა დელეგაციის რამდენიმე წევრი თავის აგარაკზე მიიწვია.

გიორგი ქუთათელაძის ვაჟიშვილი, პროფესორი ნოდარ ქუთათელაძე მამის ნათქვამს იგონებს:

— სტალინის აგარაკზე პოლიტიბუროს წევრთა გარდა ცნობილი სამხედრო პირებიც ყოფილან, ხოლო სიმონ ბუდიონი თავის მეუღლესთან ერთად მოსულა.

მასპინძელს ძალზე მოუღვნენია. სტუმარ-მასპინძელთ კახური მრავალუამიერი, გურული ხასანბეგურათი შეუცვლიათ — იოსებ სტალინი თურმე, ამ სიმღერების კარგი შემსრულებელი ყოფილა: თანამემამულეთა სიმღერებით ძლიერ მოხიბლულა სერგო ორჯონიკიძე.

სიმონ ბუდიონს რუსული ცეკვა წამოუწყია... სტალინმა, თურმე, გიორგი ქუთათელაძეს გადაუჩურჩულა: გადი, არ შემარცხვინო და ბუდიონის. მეუღლე საცეკვაოდ გაიწვიეო. ახალგაზრდა ქალი შესანიშნავად ცეკვავდა. ცეკვა რომ დაამთავრა, გიორგიმ ქალი მაგიდასთან მიაცილა. თავის ადგილზე დაბრუნებულს, სტალინი გადახვევია.

— მე სტალინს ვერაფერი გავუბედე და ძველი ქართული წესით მხარზე ვეამბორეო, — იგონებდა, შემდეგ შინ დაბრუნებული გიორგი ქუთათელაძე.

**სურათზე:** პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): პლატონ მიროტაძე, კონსტანტინე ლესელიძე, ოლიფანტე უგულავა, გიორგი ქუთათელაძე, თედორე (სოსო) ბუაჩიძე და ლეონიდე ალლაძე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად. სურათი გადაღებულია 1936 წლის 25 მარტს, მოსკოვში, კრემლში, მთავრობის ჯილდოების საზეიმო გადაცემის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ.

**ბრისტან ჩინილაკაშვილი,** საპარტიო მდივანი კომპარტინის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მაცნეირი თანამშრომელი.



ე


ლენე დიმიტრის ასულ სტასოვას სახელთან დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, მეფის დესპოტიზმისა და სოციალურ უთანასწორობასთან მრავალწლიანი ბრძოლის ისტორია. მან მთლიანად გადაიტანა ყოველივე ის, რასაც ცარიზმის წლებში ბედი იატაკქვეშელ რევოლუციონერებს არგუნებდა: პოლიციის დევნა, სხვისი სახელით ცხოვრება, კონსპირაციული შეხვედრის ადგილები, დაკითხვა, წამება, საპყრობილე, შიმშილი, გადასახლება. რევოლუციის ჯარისკაცი სტასოვა მიეკუთვნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ აღზრდილ ბოლშევიკთა პლეადას, რომელთა შესახებაც იგი ამბობდა, რომ ისინი რევოლუციას სწირავენ არა მარტო თავისუფალ დროს, არამედ მთელ თავიანთ სიცოცხლეს.

ხანგრძლივი და ლამაზი სიცოცხლით იცხოვრა მან. ახალგაზრდობის წლებიდანვე აირჩია რევოლუციონერის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლის ეკლიანი გზა. სტასოვამ მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ბოლშევიკური პარტიის მშენებლობას, რომლის რიგებში თითქმის 70 წელი ირიცხებოდა (1898 წლიდან). იგი 1966 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა 94 წლის ასაკში და დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელში.

არქივებსა და წიგნსაცავებში საქმიენს რომ ვფურცლავ, უნებელიდ აზრად მომდის, თუ რა საინტერესო, უჩვეულო ბედი იმალება იატაკქვეშელ რევოლუციონერთა წერილების, მოგონებების, სტატიების, პარტიული დახასიათების ძუნწი სტრაქონების მიღმა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ელენე სტასოვას. აღლევებით ვფიქრობ, თუ რა ბევრი მისცა მათ თბილისმა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ.

თბილისთან არის დაკავშირებული ე. დ. სტასოვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი ეტაპი. აქ იგი, პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მდივანი, ცენტრალური კომიტეტის ჩრდილოეთის ბიუროს მდივანი, ჩამოიღის 1907 წლის გაზაფხულზე და ებმება თბილისის ორგანიზაციის არალეგალურ პარტიულ მუშაობაში როგორც ავტორი და პროპაგანდისტი — ჯერ ტრამეის მუშათა, შემდეგ კი რკინიგზელთა წრეებში. მაშინ იგი 34 წლისა იყო და უკვე მეგობრობდა ვ. ი. ლენინს, მუშაობდა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“, გაზეთ „ისკრის“ აგენტად, ასრულებდა პარტიულ დავალებებს პეტერბურგში, მოსკოვში, ორიოლში, კიევში, სმოლენსკში, მინსკში ვილნოში (ვილნიუსში), მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის ჩრდილოეთის ბიუროს, რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს მდივნად, მონაწილეობდა გაზეთ „პროლეტარის“ გამოცემაში.

თბილისში სტასოვა მუშაობას იწყებს პედაგოგად მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში, რომელიც შექმნეს სოციალისტმა მასწავლებლებმა. ასწავლის ისტორიას, გეოგრაფიას, რუსულ ენასა და ლიტერატურას. მალე მას აქ გამგედ ნიშნავენ. ამავე დროს იგი მასწავლებლობდა გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკის ლევანდოვსკის გიმნაზიაშიც.



# „ქუნიანი კრესა“

ე. დ. სტასოვამ გაიცნო ლუსიკ (ლუსია) ლისინოვა — მუშა ახალგაზრდობის კავშირის მომავალი ორგანიზატორი და ოდნავ მოგვიანებით მოსკოვში ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე, ზამოსკვორეჩიეს საბჭოს მდივანი. ლისინოვასთან მეგობრობა, რომელიც თბილისში დაიწყო, 1917 წლამდე გაგრძელდა. იგი იუნკერის ტყვიამ იმსხვერპლა მოსკოვში, ოქტომბრის ბრძოლების დღეებში.

თავის მოგონებებში ე. სტასოვა წერს, რომ „სტოკჰოლმის გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ თბილისში შეიქმნა გაერთიანებული კომიტეტი, მაგრამ ჩვენ — ბოლშევიკებს ვეჭონდა ეგრეთ წოდებული „ლიტერატურული ბიურო“, რომელიც სინამდვილეში ბოლშევიკურ კომიტეტს ცვლიდა. მასში ვმუშაობდი მეც“.

ამ დროს თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, როგორც ერთ-ერთ მებრძოლ შტაბს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მასში შედიოდნენ მთელი რიგი ჯგუფები, უჯრედები, და მათ რომ ეყრდნობოდა, იგი გამოდიოდა როგორც რსდმპ დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

იცოდა თუ არა თბილისის ოხრანკამ ე. დ. სტასოვას რევოლუციური საქმიანობის, მისი წარსულის შესახებ? ხელთა მაქვს დოკუმენტი, რომელიც პოლიციის პეტერბურგის დეპარტამენტში ინახებოდა და 1908 წლის 15 ივლისით არის დათარიღებული. ეს გახლავთ პასუხი შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ თბილისის უანდარმერიისათვის ცნობილია სტასოვა. პასუხში წერია რომ თბილისში, ანდრეევსკაის ქუჩაზე, № 13 სახლში ცხოვრობს ელენე დიმიტრის ასული სტასოვა.


აი მეორე დოკუმენტიც — პოლიციის ცნობა, რომელიც თბილისიდან იმავე პეტერბურგის უანდარმერიის დეპარტამენტშია გაგზავნილი 1910 წლის აგვისტოში. იგი ეხება სტასოვას არალეგალურ ურთიერთობას ძველ ნაროდოვოლუც ივანე ჯაბადართან, რომელმაც კატორღა მოიხადა და ახლა პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ცნობაში ნათქვამია: „ლევანდოვსკის სკოლის მას-

წავლებელი ელენე დიმიტრის ასული სტასოვა, რომელიც პეტერბურგიდან შარშან გაზაფხულს ჩამოვიდა, გადასცემდა მას (ე. ი. ჯაბადარს) რალაც დავალებას პეტერბურგელი სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან. სტასოვა ცნობილი კრიტიკოსის ვ. ვ. სტასოვის ძმისშვილია; იგი მრწამსით სოციალისტ-რევოლუციონერია“. პოლიციის სხვა დახასიათებაში, რომლის წაკითხვაც მომიხდა, ნათქვამია, რომ თბილისში, სტასოვამ — რუსი საზოგადო მოღვაწის, ადვოკატის ქალიშვილმა, „როგორც თვალსაჩინო ენერგიულმა პარტიულმა მუშაკმა, უპირველესი როლი დაიკავა“.

ანდრეევსკაის ქუჩის № 13 სახლში იმ ბინას, რომელიც სტასოვას ჰქონდა დაქირავებული, თბილისში ხუმრობით „ქუნიანულ კრეტას“ („ოსტროვ კრიტ“) უწოდებდნენ. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ აქ ცხოვრობდა იმ წლებში ცნობილი კბილის ექიმის ანა ალექსანდრეს ასულ კრიტის ძალზე სიმპათიური ინტელიგენტური ოჯახი. სახლი მოხერხებული იყო — მასორი გასასვლელი ჰქონდა, ერთი — ქუჩაში, ხოლო მეორე — მეზობელი შესახვევის ეზოში. ბინის ქირაც საკმაოდ იაფი იყო. „ქუნიანი კრეტა“ იმ პერიოდში თბილისში რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციურ მოვლენათა ცენტრი გახლდათ. აქ იკრიბებოდნენ, ადგენდნენ ღონისძიებებს, წერდნენ განკარგულებებს სერგო ორჯონიკიძე, სურენ სპანდარიანი, ოლა ადამოვიჩი, კოტე ცინცაძე, სიმონ შვარცი და სხვები.

1911 წლის შემოდგომაზე ს. სპანდარიანის წინადადებით ელენე სტასოვამ „ქუნიანულ კრეტაზე“ ხელი მოჰკიდა პასუხსაგები პარტიული დავალების შესრულებას: დაიწყო მზადება პარტიული კონფერენციისათვის. აი რას გვიამბობს ამ მზადების შესახებ თვითონ სტასოვა: „თბილისში ჩამოვიდნენ სიმონ შვარცი და კიდევ ერთი ამხანაგი (რამდენადაც მასსოვს ოდესიდან ან კიევიდან), რათა, უწინარეს ყოვლისა, შეექმნათ რსდმპ პარტიის კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო კომისია, შეემუშაებინათ მუშაობის პრო-





გრამა, დაეწყეთ ფურცლების გამოშვება. ამ მიზნით ჩემს ბინაში, როცა სახლის პატრონები არ იქნებოდნენ, გადავწყვიტეთ თათბირის გამართვა...

თათბირი საქმიანად წარიმართა და წარმატებით დამთავრდა. მან დასახა კონფერენციაზე დელეგატების არჩევის წესი და გამოიმუშავა შესაბამისი მიმართვა ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი. აქ გადაწყდა ყველა ზემოთ დასახელებული საკითხი...

ამრიგად, როგორც ე. სტასოვა ამტკიცებს, თბილისში საფუძველი ჩაეყარა სრულიად რუსეთის VI პარტიული კონფერენციისათვის მზადებას, რომელიც გაიმართა პრალაში 1912 წლის იანვარში და გახდა ლენინური კომუნისტური პარტიის შექმნის უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

აქ, თბილისში, „კუნძულ კრეტაზე“ — ანდრეევსკაიას ქუჩაზე, გზავნიდა წერილებს ვასილ კოსოლცევი. ვინ არის კოსოლცევი? წერილებიდან ირკვევა ჭაბუკის პიროვნება, რომელსაც დახვრეტა მიუსაჯეს პროვოკატორის მოკვლისათვის. ეს წერილები აღმოაჩინეს ლენინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დიდი რუსი მწერლის ვ. ვ. კოროლენკოს ფონდში. მათ ეწოდება „უცნობის წერილები ე. დ. სტასოვას“ (თბილისი, 19. XII. 1910 წ.). ამ წერილებში კოროლენკოს ხელით არის აღნიშნული: „ელ. დმ. სტასოვასაგან. თბილისი“. სიკვდილმისჯილთა წერილებს ვ. კოროლენკო აგროვებდა თავისი განმარტებული სტატიებისათვის „სამხედრო მართლმსაჯულების თვისებები“ და „საყოფაცხოვრებო მოვლენა“, რომლებიც ამხილებდნენ მეფის ხელისუფალთა თვითნებობას.

თბილისში დაიბეჭდა „კუნძულ კრეტაზე“ დაწერილი პირველი პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს მუშებს, დაირაზმონ ერთიან არალეგალურ რევოლუციურ პარტიად. პროკლამაცია დიდი ტირაჟით დაიბეჭდა. თბილისიდან პროკლამაციის ფურცლების დასტები გაიგზავნა კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში. რამდენიმე ფურცელი პარიზშიც გაიგზავნა. ლენინი ძალზე გაახარა თბილისში მომხდარმა ამბავმა. გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1912 წლის 8 დეკემბრის 25-ე ნომერში (გაზეთი პარიზში გამოდიოდა ლენინის რედაქტორობით) იგი წერდა: „ორთქლმავალი ავწიეთ და რელსებზე დავდგი. რუსეთში პირველად გამოიცა პარტიის ფურცელი... ამ ცენტრისაგან“ (აქ ლენინს მხედველობაში აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ცენტრი).

იმავე 1912 წელს თბილისში ე. დ. სტასოვას სახელზე არალეგალური გზებით გამოგზავნეს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიული კრიზისის დასასრული“. ამ სტატიაში ვლადიმერ ილიას ძე დიდად აფასებს თბილისელ იატაკქვეშელთა — პრალის კონფერენციის ორგანიზატორთა საქმიანობას.

ვ. ი. ლენინი პარიზიდან არა მარტო თვალყურს ადევნებდა თბილისში მუშაობას, არამედ მიმოწერა ჰქონდა აქ, „კუნძულ კრეტაზე“ მოქმედ თავის თანამოაზრეებთან.

1912 წლის 15(28) მარტს ვ. ი. ლენინმა პარიზიდან თბილისში გამოგზავნა წერილი გ. ორჯონიკიძის, ს. სპანდარიანის, ე. სტასოვას სახელზე, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ძალზე საჭიროა გაძლიერდეს

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების კავშირი საზღვარგარეთის ცენტრთან; რომ არ ჰქონდა პრალის კონფერენციის მოხსენებაში მოყვანილი შედეგების მონაცემები; მიზნად უსახავდა მათ, სასწრაფოდ წაეკითხათ მოხსენებები და მოეწყობა კონფერენციები ორგანიზაციებში და ა. შ. წერილი მთავრდებოდა მითითებით: „გადაეცით წერილი ს.-ს შემდგომი გადაგზავნისათვის. სალამი. ლენინი“.

ელენე სტასოვამ შეასრულა ლენინის მითითება: წერილი გადაწერა და გაუგზავნა ს.-ს, ესე იგი, სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც ამ დროს ბაქოში იმყოფებოდა. გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე იატაკქვეშელთა შორის ფიგურირებდა როგორც „ამხანაგი ს“.

1912 წლის აპრილში ვ. ი. ლენინმა კვლავ გამოგზავნა წერილი თბილისში, რომელშიც ისევ მიმართავს იმავე ამხანაგებს გ. ორჯონიკიძეს, ს. სპანდარიანსა და ე. სტასოვას, მოითხოვს, რომ ისინი „ზერელედ არ მოეციდონ საზღვარგარეთელ ლიკვიდატორებს“, ურჩევს, „ახლავე დაბეჭდონ მთელი რიგი ფურცლები (კონფერენციის ყველა მნიშვნელოვანი რეზოლუცია აუცილებელია“. ვ. ი. ლენინის ეს მითითებაც შესრულდა.

1912 წლის 13 მაისს ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუშსკაიას სახელზე ე. სტასოვა გზავნის წერილს, რომელშიც იტყობინება, რომ „1 მაისს აქ გავრცელდა 5360 ფურცელი რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე (ეს უკანასკნელი ჰექტოგრაფზეა დაბეჭდილი), მოეწყო პატარა გამოსვლები, მაგრამ უფრო მეტი ვერ მოხერხდა, რადგან ხალხს მოეჩვენა, რომ ბევრი პოლიციელი იყო, ხოლო ორი — 30 და 20-კაციანი მაინც გაიმართა...“

როგორც ცნობილია, 1912 წლის მარტში ვ. ი. ლენინმა დაწერა „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“. ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული ეს სტატია პარიზიდან თბილისში ჩამოიტანეს. თბილისში ასევე თაერატიულად და კონსპირაციულად გადაბეჭდეს და დაგზავნეს ქვეყნის უდიდეს პროლეტარულ ცენტრებში თვრამეტი მისამართით.

სტასოვასა და მისი თბილისელი მეგობრების საგამომცემლო საქმიანობამ იმ დროისათვის არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, მარტო „საარჩევნო პლატფორმა“ დაბეჭდეს ორმოცი ათასი ეგზემპლარით. იმ დროისათვის კოლოსალური ტირაჟია! ასობით ეგზემპლარად იბეჭდებოდა ფურცლები, მოწოდებები, თანაც რუსულ, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე და თბილისიდან იგზავნებოდა პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ერევანში, ვოლკისპირეთში...

თბილისში ე. დ. სტასოვამ აქტიური საქმიანობა გააჩაღა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის მოსამზადებლად. ძალზე დაძაბული ვითარება შეიქმნა ამ მოვლენასთან დაკავშირებით. პარტიულ კომიტეტებს ერთიმეორის მიყოლებით გამოჰქონდათ პრალის კონფერენციის მხარდამჭერი რეზოლუციები მას მთლიანად უწყვედა სოლიდარობას თბილისის ბოლშევიკთა ორგანიზაცია, რომლის მდივანი მაშინ ე. დ. სტასოვა იყო. თავიანთ გადაწყვეტილებაში თბილისელმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ „მტკიცედ აქვთ განზრახული, მხარი დაუჭირონ ცენტრალურ კომიტეტს საერთო პარტიული მუშაობის აღდგენაში“. არჩევნებისათვის მზადების კომისია სტასოვას მე-

თაურობით ცდილობდა, გამიჯნოდა მენშევიკებსა და მათ ლიდერს ნ. ჩხეიძეს. ე. დ. სტასოვა ყველა შეხვედრის, სხდომის შემსახებ რეგულარულად უგზავნიდა წერილებს ვ. ლენინს, გ. ორჯონიკიძეს, ნ. სტარცკისა და ს. სტასოვას წრე თბილისში იზრდებოდა, მასში შევიდნენ ახალი თანამებრძოლები...

მაგრამ სათათბიროს არჩევნებამდე ე. დ. სტასოვას კვალს თბილისის ოხრანკა წააწყდა. 1912 წელს პეტერბურგის პოლიციამ დააპატიმრა თბილისის მცხოვრები, რომელმაც წარმოადგინა პასპორტი ჰასან ნავრუზ-ოღლი ჰუსეინოვის სახელით. ეს იყო სერგო ორჯონიკიძე. კავშირი წყდება. როცა სკოლებში ზაფხულის არდადეგები დაიწყო, ე. დ. სტასოვა ლენინს სწერდა: „როგორც კი მივიღებ თქვენგან პასუხს ჩემს მიერ 8 მაისს გამოგზავნილ წერილზე, გზას დავადგები...“ 1912 წლის ივნისში სტასოვამ წინასწარ გადასცა ყველა შიფრი სხვა მასწავლებელს, რევოლუციური მოძრაობის ასევე აქტიურ მონაწილეს 1903 წლიდან, მარია ვოხმინას, გააცნო მას, თუ როგორ განაგრძოს შემდეგში მიმოწერა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, და იგი დალნაიას ფსევდონიმით თბილისიდან გაემგზავრა.

მაგრამ მან არ იცოდა, რომ მის კვალს უკვე მიაგნეს, რომ მას თვალყურს ადევნებდნენ მაძებრები. 10, 12 და 13 ივნისს, ერთიმეორის მიყოლებით, დონის ოხრანკის განყოფილებაში იგზავნებოდა დაშიფრული დეპეშები იმის შესახებ, რომ „თბილისიდან მესამე კლასის ვაგონით მგზავრობს... დალნაია. ნიშნები: ოცდათვრამეტი წლის, საშუალოზე მაღალი ტანის, ქერათმიანი, თხელი სახე, ცხვირი გრძელი და სწორი. ჩაცმულობა: შავი შლაპა ცისფერი ლენტით, მუქი ლურჯი ქაქეტი, შავი ქვედატანი“.

მისი მოგზაურობის შესახებ დეპეშები მოსკოვამდე იგზავნებოდა. მოსკოვში ე. დ. სტასოვა დააკავეს და კვლავ თბილისში გამოგზავნეს. აქ იგი მარია ვოხმინასთან და არმენუი ოვიანთან ერთად, რომელთა კვალსაც ასევე მიაგნეს, საგუბერნო საპყრობილეში ჩასვეს (ასე ეწოდებოდა მაშინ მეტეხის ციხის გვერდით მდებარე საპყრობილე). სტასოვასთან, ვოხმინასთან და ოვიანთან ერთად საკანში იყვნენ ტერ-პეტროსიანის (კამოს) დები — ჯავაირა და არუსიაკა; რომლებსაც ბრალად ედებოდათ მიხეილის საპყრობილის საავადმყოფოდან გამოქცეული ძმისათვის ხელის შეწყობა.

1913 წლის 2 მაისს თბილისის პატიმარი ქალები პირველი მაისის აღსანიშნავად სასამართლოს პალატაში წითელი მიხაკებით გამოცხადდნენ, რომლებიც მათ ნათესავებმა გადასცეს, სტასოვას კი ამ დროს კაბაზე წითელი საყელო და წითელი ქამარი ეკეთა. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: სტასოვა, ოვიანი, ვოხმინა სამუდამოდ გადასახლდეს ციმბირში ქონებისა და უფლების ჩამორთმევით. ამრიგად, ე. სტასოვა და ა. ოვიანი აღმოჩნდნენ ენისეის გუბერნიის სოფელ რიბინსკოეში, ხოლო ვოხმინა და მისი მეუღლე ნ. კოროსტილოვი, რომელსაც სამუდამო კატორღა მოუსაჯეს, იმავე გუბერნიის სოფელ პეროვოში.

რამ დავიღობი.



თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება დატვირთვა ადამიანის ფსიქიკურ-ემოციურ ფუნქციებზე. ამავად მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოახლოვდეს ორგანიზმს — ტვინის ეფექტიანი გამოყენება, მისი რეზერვების ძიება, ამოქმედება, ინფორმაციული გადატვირთვის ნიადაგზე წარმოშობილ დარღვევათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების შექმნა. ამ თვალსაზრისით დიდი მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს ინსტიტუტის დირექტორთან, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატთან, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან — მიხეილ ხანანაშვილთან.

## ტვინის რეზერვების ძიება

**კორესპონდენტი.** ბატონო მიხეილ, თქვენ მოგენიჭათ 1986 წლის სახელმწიფო პრემია ნერვული სისტემის დაავადებების პრინციპულად ახალი მოდელების შექმნისათვის. რას ნიშნავს ნერვული სისტემის დაავადების მოდელი?

**მიხეილ ხანანაშვილი.** აღნიშნული კვლევა ფუნდამენტურ ხასიათს ატარებდა და თავის ამოცანად ისახავდა ადამიანის ფსიქიური და ნერვული დაავადებების მოდელირებას ცხოველებზე, რაც გაპირობებულია იმით, რომ ადამიანზე ცდების ჩატარება სხვადასხვა დაავადების წარმოშობისა და მათი მექანიზმების შესწავლის მიზნით დაუშვებელია. მართალია, ცხოველებზე დაკვირვება საშუალებას არ იძლევა, შევქმნათ ადამიანის ავადმყოფობის ზუსტი ასლი, მაგრამ შესაძლებელი ხდება, ხელოვნურად წარმოვქმნათ ამა თუ იმ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები, შევისწავლოთ დაავადების ცალკეული პროცესები და ამის საფუძველზე შევქმნათ დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი საშუალებები.

**კორესპონდენტი.** ერთ-ერთ საუბარში თქვენ ტვინი შეადარეთ იალქიან ნავს, რომლითაც ადამიანი მარტოდმარტო მოგზაურობს ოკეანეში — ეს ოკეანე, რა თქმა უნდა, თანამედროვე ინფორმაციაა. ამაშია იმ პრობლემის არსიც, რომელზედაც თქვენ მუშაობთ — რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ინფორმაციულმა გადატვირთვამ...

**მიხეილ ხანანაშვილი.** რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს ერთნაირად არ შეუძლია ინფორმაციის ამ ოკეანეში გზის გაგნება. ყველას არ ძალუძს, მიიღოს ეს უამრავი მეცნიერული, ყოფითი, სოციალური და სხვა მრავალგვარი ინფორმაცია, აღიქვას, გადაამუშაოს, დაიმანსოვოს, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება... ნაწილობრივ ამიტომ გახშირდა უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევების შემთხვევები. ეს კი თავის მხრივ ადამიანის ორგანიზმში ბევრ სხვა დაავადებას იწვევს. და ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ ტვინს მუშაობა უხდება სრულიად ახალ ვითარებაში, ახალ პირობებში.

**კორესპონდენტი.** ბუნებრივია, როცა ადამიანს არ ძალუძს ამ დაბრკოლების დაძლევა, მას არასრულფასოვნების გრძნობაც ეუფლება...

**მიხეილ ხანანაშვილი.** საქმე ის არის, რომ მოუმზადებლად, ხანგრძლივი ვარჯიშისა და წვრთნის გარეშე, არავინ არ მოსთხოვს ადამიანს საუკეთესო მიღწევებს, მაგალითად ცურვაში ან სპორტის სხვა რომელიმე სახეობაში. იმას კი სრულიად არ ეწევა ანგარიში, რომ ადამიანის ტვინს შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში უხდება დიდი დატვირთვის ქვეშ ყოფნა და ეს ხშირად ხდება ყოველგვარი სპეციალური მომზადების — ვარჯიშის გარეშე. თუ ერთი სპეციალისტი ისე სწრა-

ფად და უნარიანად ვერ მუშაობს, როგორც მეორე, ან ერთი სტუდენტი სავსებით ჩამორჩება მეორეს განათლების მხრივ, ეს მაინცდამაინც ამ ადამიანის ცუდ პიროვნულ თვისებებზე არ მიგვანიშნებს. არ შეიძლება, ერთნაირად მოვთხოვოთ მას, ვინც ბუნებამ კარგი მახსოვრობით, სწრაფი რეაქციითა და ლოგიკით დააჯილდოვა და მას, ვინც თავისი წყობით სრულიად საპირისპიროა, უჭირს გადაწყვეტილების მიღება და ამა თუ იმ დასკვნამდე მიდის ბევრი და მტანჯველი ფიქრის შემდეგ. ეს ყველაფერი ცალკეული, ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში სულ უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაციული გადატვირთვის ნიადაგზე წარმოშობილ დარღვევათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების ძიება.


**კორესპონდენტი.** რაში მდგომარეობს უმაღლესი ნერვული მოქმედების ინფორმაციული პათოლოგიის კონცეფციის არსი?

**მიხეილ ხანანაშვილი.** სწორედ ცხოველებზე ცდებმა გამოავლინეს მთელი რიგი საგულისხმო კანონზომიერებები, რომლებმაც საშუალება მოგვცა, უკეთ ჩავწვდეთ ტვინის მოქმედების ზოგიერთ მხარეს.


კონცეფცია ეყრდნობა შემდეგი კანონზომიერების აღმოჩენას: თუ თავის ტვინს უხდება ხანგრძლივი შემთავრებული ფორმაციული გადატვირთვის (ან ინფორმაციული დეფიციტის) პრობლემები და თუ ასეთი მუშაობა წარმოებს დროის უკმარისობის პირობებში, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მალაღობა, შეიძლება განვითარდეს უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგია. ეს კონცეფციის ერთი ნაწილია, მეორე კი იმაში მდგომარეობს, რომ სანამ პათოლოგია განვითარდება, ადგილი აქვს თავის ტვინის თავდაცვით მექანიზმების ჩართვას, რაც ხელს უწყობს ნერვული სისტემის, მდგრადობის მომატებას პათოგენური ფაქტორებისადმი. პათოლოგია განვითარდება ამ თავდაცვითი შესაძლებლობების ამოწურვის შემდეგ.

აღმოჩნდა, რომ თუ ცხოველს, მაგალითად ძალს, არ შესწევს უნარი, თავი გაართვას მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას, ამოქმედდება დაცვითი მექანიზმები, რომლებიც იცავენ მას გადატვირთვისაგან. ისინი ხან „ემსაკობენ“ — გადაწყვეტილებისათვის საჭირო „დროს იგებენ“, ხან უბრალოდ ექსპერიმენტის დროს იძინებენ და ზოგჯერ თვით ქცევებსაც კი იცვლიან. ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ტვინს აქვს თვითრეგულაციის უნარი. ჩვენ უნდა გვესმოდეს ასეთი ქცევის დადებითი ბიოლოგიური მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ადამიანი, იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს ამ მოვლენებს, ზოგიერთ შემთხვევებში მათ აზნობს, თრგუნავს. ამ ნიადაგზე წარმოშობა შეუსაბამობა ნერვული სისტემის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მასზე დატვირთვებს შორის, რაც იწვევს ფუნქციის მოშლას.

**კორესპონდენტი.** თქვენ ინფორმაციული ტრიადა უწოდებთ იმ სამ ფაქტორს,







**კორესპონდენტი.** რა კონკრეტული რეკომენდაციებია შემუშავებული ნეკროლოგის წინააღმდეგ?

**მიხეილ ხანანაშვილი.** მკურნალობა დასვენებით, დოზირებული კუნთოვანი დატვირთვით, ტვინზე სასიგნალო გამღიზიანებლების ან ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით. ნაწილობრივ პრაქტიკულადაც გამოიყენება ეს რეკომენდაციები. კარგი შედეგი მოგვცა სამკურნალო ტანვარჯიშით მკურნალობამ და ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებამ. მაგალითად, კარსტულ მღვიმეში ერთი თვის მანძილზე დღე-ღამეში ორ-ორ საათს ყოფნა ძალიან ამაღლებს ადამიანის შრომისუნარიანობას, ეს დაადგინეს საქართველოს ჯანდაცვის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

**კორესპონდენტი.** ბატონო მიხეილ, თქვენ არჩეული ხართ ინდოეთის იოგის აკადემიის ნამდვილ წევრად. რა საფუძველზე მოხდა ეს?

**მიხეილ ხანანაშვილი.** პირადად არასოდეს მისარგებლია იოგას მეთოდებით და არც სპეციალურად შემისწავლია ეს სისტემა. მე წავიკითხე ლექციების ციკლი ინდოეთში. მომიხდა გამოსვლა ინდოეთის იოგის აკადემიის მეცნიერთა წინაშეც. ინდოელი სწავლულები დაინტერესდნენ ტვინის თვითრეგულაციის პრობლემებით. ჩემი გამოკვლევები დაეხმარა ინდოელ კოლეგებს, უკეთ გაეგოთ, რა ხდება ადამიანის ტვინში ინფორმაციული გადატვირთვის დროს, საჭიროდ ცნეს ეს მონაცემები შეეფარდებინათ მკურნალობის საკუთარ მეთოდებთან. ეს იყო და ეს.

**კორესპონდენტი.** რას მიეძღვნება თქვენი მომავალი კვლევა?

**მიხეილ ხანანაშვილი.** ჩვენი კვლევის უახლოესი ამოცანაა, შევისწავლოთ ჰიპოდინამიის, ესე იგი მოძრაობის უკმარისობის მნიშვნელობა ტვინის ინფორმაციული პათოლოგიის წარმოშობაზე, ასეთი გავლენის მექანიზმები. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევამ უკვე გვაჩვენა, რომ სწორედ ჰიპოდინამია არის ამ დაავადების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი. ეს გასათვალისწინებელია, ვინაიდან ჰიპოდინამია ახასიათებს მრავალ თანამედროვე პროფესიას, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც ფსიქო-ემოციურ გადატვირთვას იწვევენ. საინტერესოა, რომ სწორედ ამ დაკვირვების საფუძველზე თბილისის ექიმთა და ხელოვნების ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს ინფორმაციული ნევროზის პროფილაქტიკის მეტად საჭირო რეკომენდაციები.

რაც შეეხება ჩვენი კვლევის მიზანს მთლიანობაში — შემიძლია გიპასუხოთ, რომ ჩვენი ამოცანაა, მოვნახოთ და ავაშუშაოთ უმალესი ნერვული მოქმედების ახალი რეზერვები, რაც ტვინის სხვადასხვა ფუნქციის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

რომლებიც ხშირად ძლიერად ზემოქმედებენ თანამედროვე ადამიანზე. ესენია: დიდი დატვირთვა, მაღალი პასუხისმგებლობა და დროის გახანგრძლივებული სიმცირე, დროის უკმარისობა.

**მიხეილ ხანანაშვილი.** ეს განსაკუთრებით ითქმის ინტელექტუალური სფეროს მუშაკებზე, მათზე, ვინც იცავს ადამიანთა სიცოცხლეს, წარმართავს მათ ცხოვრებას და მათზეც, ვინც რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს ხელმძღვანელობს. აქვე ხაზი უნდა გაუესვა იმას, რომ ინფორმაციული პათოლოგია მარტოდენ „ინფორმაციული გადატვირთვის“ შედეგად როდი გამოიწვევა. ტვინს დიდი შესაძლებლობები აქვს დაამუშაოს, როგორც იტყვიან, მოზღვავებული ინფორმაცია. პათოლოგია შეიძლება განვითარდეს მაშინ, როდესაც ტვინს ასეთი მუშაობა უხდება დროის ქრონიკული დეფიციტის პირობებში და, როდესაც ინფორმაციის სწორი დამუშავების აუცილებლობა, ესე იგი პასუხისმგებლობა მაღალია. როგორც დავადინეთ, არსებობს დიდი სხვაობა ცალკეულ პიროვნებებს შორის ამ ფაქტორებისადმი მდგრადობის თვალსაზრისით.

**კორესპონდენტი.** თქვენი გამოკვლევების პრაქტიკული მნიშვნელობაც იმაშია, რომ უნდა განისაზღვროს თითოეული ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობები. რამდენად უძლებს იგი ინფორმაციულ დატვირთვას.

**მიხეილ ხანანაშვილი.** რა თქმა უნდა,

ყველაზე პასუხსაგები პროფესიების წარმომადგენლებს — კოსმონავტებს, მფრინავებს, რთულ წარმოებათა ოპერატორებს, დიდი ხანია იკვლევენ, თუ რამდენად გამოსადეგნი არიან ისინი ამ სამუშაოსათვის.

**კორესპონდენტი.** დგას თუ არა საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას პროფესიული შერჩევის პრინციპები ინფორმაციის მიღებისა და გადაამუშავებისათვის ტვინის, ნერვული სისტემის შესაძლებლობათა გათვალისწინებით სხვა პროფესიის წარმომადგენლებისთვისაც.

**მიხეილ ხანანაშვილი.** დიდი ხანია მომწიფდა ეს საკითხი. ადამიანი დღეს გადაწყვეტილებებს იღებს სრულიად უჩვეულო პირობებში და ინტენსიურმა გამოკვლევებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს შესრულდა, გვიჩვენა, რომ სრულიად პათიოლური ადამიანი, თუ მისი ნერვული სისტემა არ შეეფერება თანამედროვეობის ფსიქიკურ-ემოციურ დატვირთვას, შეცდომებს უშვებს უნებურად. და ეს იმიტომ, რომ არ არის გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური თავისებურებების გამომხატველი ფაქტორები.

ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ამგვარ პიროვნებაზეა დამოკიდებული ადამიანთა ბედო...


განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას — შემუშავდეს სწავლების ახლებური მეთოდები.



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსაცემად მოამზადა ლევან ხაინდრავას ახალი ავტობიოგრაფიული რომანი „მონუსხული შორეო“ რომანის მეორე წიგნია და ეხება ემიგრაციაში მყოფი ქართველების ცხოვრებას. ვებუბლავთ ნაწევრებს ამ რომანიდან, სადაც აღწერილია ქართველი და იტალიელი ფრენბურთელების პაექრობა ქალაქ შანხაიში. ამასთან, რედაქცია გულითადად მიუხაღმება მწერალს, რომელსაც დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა.

ლევან ხაინდრავა

# მონუსხული შორეო



ოლო ხანს გოგა მხოლოდ იტალიელებთან მოსალოდნელმა ტჩხე ფიქრობდა. იმ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ქვეყნუფში გამარჯვებული.

ამ მატჩისათვის ქართველთა გუნდი ვულმოდინედ ემზადებოდა. ყოველდღე ვარჯიშობდა. ჟორა ყიფიანსაც კი არ გაუცდენია არც ერთი ვარჯიში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, იმ უკანასკნელ კვირას არც სასმელისთვის დაუკარებია პირი. თერთმეტ საათზე იძინებდა, დილაუთენია დგებოდა და, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „დამჯერი ბიჭივით“ საუზმემდე დარბოდა.

უბედურება მატჩის დღეს დაატყდათ თავს. გოგას დილით სამსახურში დაურეკა უფროსმა ლაბაძემ და შეატყობინა, რომ კარცევის გუნდს საღამოს ბრძანაწლავის შეტევა მოსვლოდა და დღეს თამაშს ვერ შესძლებდა. ეს მოულოდნელი ამბავი, ცხადია, ართულებდა ქართველთა გუნდის მდგომარეობას.

— ახლა რაღა ვქნათ? — დაიბნა გოგა. — რაღაცას მოვიფიქრებთ. როგორმე ვითამაშებთ იურას ვარეშეც — სცადა მისი დამშვიდება ლაბაძემ. იგი ხვდებოდა, რომ კარცევის გარეშე დარჩენილი გუნდის ერთდერითი საყრდენი თვითონ ხდებოდა. — იცი რას გეტყვი, გოგა? აუცილებლად ვაფრთხილე ვასო, ერთი საათით ადრე მოვიდეს, მე კი გოგინაიშვილს გამოვიძახებ. ადრეულად შევიკრიბოთ და მოვიფიქროთ, როგორი განლაგებით აჯობებს თამაში.

ლაბაძის მშვიდმა, საქმიანმა ტონმა კეთილისმყოფლად იმოქმედა გოგაზე, მაგრამ დღევანდელი მატჩის ბედზე შიში მაინც არ გაუქრო. გოგამ ძალის-ძალად ისაღილა — ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. სცადა სინაურებისათვის დაემალა თავისი განწყობილება. ცოტა ხნით წამოწვა ტანტზე და შვიდის ნახევრისათვის უკვე წასასვლელად მოემზადა.

— პირველი გადასახე, დედა! დედამ თხოვნა შეუსრულა, შუბლზე აკოცა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ. მზად ხართ? მოიგებთ?

— უნდა მოვიგოთ! — პასუხს თავი აარიდა გოგამ.

დედა მიუხვდა შვილს და აღარაფერი უკითხავს.

— აბა, ღმერთი იყოს შენი შემწე, გოგა! ყველაფერი კარგად იქნება, დარწმუნებული ვარ.

თუმცა მატჩის დაწყებამდე საათზე მეტი რჩებოდა, გუნდის ყველა წევრი უკვე მოსულიყო, სპორტული ფორმა ეცვათ და სავარჯიშო დარბაზში ბრუნდებოდნენ. გოგას ეუხერხულა კიდევ, თვითონ რომ დაიგვიანა, სხვა თუ არაფერი, კაპიტანი იყო.

— მიდი, გოგა ჩქარა გამოიცვალე, — დარბაზში შესვლისთანავე მიმართა წეროძემ იქნებ მოვასწროთ გავარჯიშება!

გოგას დიდხანს არ უცდევინებია მეგობრებისთვის. ხუთი წუთიც არ იყო გასული, თვითონაც შეუერთდა წეროძის ირგვლივ შემოკრებილ თანაგუნდელებს. წეროძემ მოთამაშეებს მოედანზე განლაგების გეგმას აცნობდა. რადგან კარცევი არ თამაშობდა, მთავარი თავდამსხმელის როლი, ბუნებრივია, ვახტანგ ლაბაძეს ეკისრებოდა, რომლის ძლიერი და ზუსტი დარტყმა ბადესთან სამივე მდგომარეობაში უნდა გამოეყენებინათ.


გოგა თავისი პლასირებული მოწოდებით უკანა მარჯვენა პოზიციიდან იწყებდა თამაშს, რათა ვახტანგის წინა ხაზზე, ბადესთან ყოფნისას, გუნდს პირველი ბურთის გათამაშების საშუალება ჰქონოდა. დანარჩენი მოთამაშეები ამ ორთან შეფარდებით ლავდებოდნენ მოედანზე და ყოველი ღონე უნდა ეხმარათ, რომ კარცევის არყოფნა არ დატყობოდა.

— მოიცა, მოიცა, — წამოიწყა უცებ ყიფიანმა. — მაშასადამე, როცა ვახტანგი უკანა ხაზზე გადაინაცვლებს, ბადესთან ჩვენ დავრჩებით, მე, შენ, — მან თავი ვასოსკენ გადაიქნია, — და შენ. — ახლა ჯაიანის მიმართულებით გადაიქნია თავი. — ასე არ არის?

— ასეა, — მშვიდად დაუმოწმა წეროძემ.

— თავდასხმაში ვილა იქნება. ერთი კაციც აღარ გვრჩება ბოლო დარტყმის შესასრულებლად...

— მართალია, — ჟორას მოემხრო გოგა. მას ყველაზე მეტად ეხებოდა ეს ამბავი: ამ შემთხვევაში თვითონ ხდებოდა მთავარი თავდამსხმელი. რომელიმე მეო-



ვიკონსული ბიზლიოთიქა

რეხარისხოვანი მატჩი რომ ყოფილიყო, ალბათ იკისრებდა კიდევ მისთვის უჩვეულო, თავდამსხმელის როლში გამოსვლას. მაგრამ ამ გადაწყვეტ თამაშში ეშინოდა ხელის მოცარვისა.

საერთოდ დღეს ძლიერ ღელავდა, ვერაფრით მორეოდა თავს. ძალზე ეწადა, გუნდის ფორმა, ქართული დროშის ფერისა რომ იყო, — არ შეებღალათ. თუ სხვა არაფერი, სპორტში მაინც გამოეჩინათ თავი, და თუ მსოფლიო მასშტაბით არა, ამ უზარმაზარ, ინტერნაციონალურ ქალაქში მაინც დაეცვათ თავიანთი ქართველობა. გოგას სჯეროდა, რომ ყოველ ქართველს, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, საითაც არ უნდა გადაესროლა ბედს — რაღაცით უნდა ესახელებინა საქართველო, და ამ სახელოვან ქმედებათა ნაერთი თავისთავად გაიკვლევდა გზას. ამის გამო ღელავდა ასე.

— იტალიელებს არ უჭირთ? — ფიქრობდა გოგა. — ითამაშებენ და საკუთარ კრეისერზე ავლენ — „ბარტოლომეო კოლეონი“ — რა ლამაზად ყლერს!.. სამსახურს დაამთავრებენ. იტალიაში დაბრუნდებიან ახლობლებთან, ნათესავებთან, თავიანთ ხალხთან. ჩვენ სადღა წავიდეთ? სად არის ჩვენი ხალხი? სად არიან ჩვენი ახლობლები? მაოლზე მაღალი კედელი გვაშორებს სამშობლოსაგან. ჩვენ აქ დასალუბავად ვართ ვანწირულნი — მარადიულ, დაუპატიებელ სტუმრებად, ძალად მაცხოხებებ — ამ დიდსულოვან, მომთმენ, მაგრამ სრულიად უცხო ხალხში. მათი ენაც კი არ ვიცით წესიერად. ბედმა რაღაც ეფემურული, მარად-დროებითი სიცოცხლისათვის გავვიმეტა. გეგონება სასტუმროში ცხოვრობ: არც ქუჩაში ხარ, არც სახლში.

მერე ისევ დღევანდელ მატჩს მიუბრუნდა ფიქრი:

— განა რა მოხდება, დავვითმონ ეს თამაში? თვითონ ისედაც ყველაფერი აქვთ, ჩვენ კი — არაფერი. კი მაგრამ ნუთუ თანახმა იქნებოდი, მიგელო ასეთი ძღვენი? ასეთი მოწყალება? დავაკმაყოფილებდა ასეთი „წარმატება“? არა, მხოლოდ პატიოსანი ბრძოლა, მხოლოდ მოგება, ან ღირსეული დამარცხება.

ახლა უკვე შეეძლო, გულდაჭერებით მი-



ემართა მეგობრებისთვის:

— არა უშავს, ბიჭებო, ვეცდები. ოღონდ მოწოდებული ბურთი ჩავიგდოთ ხელში. მერე კი პირველ პოზიციასზე უორა გავა.

— თანაც, — ღიმილით დასძინა წეროძემ. ეს ღიმილი ამტკიცებდა, რომ წინასწარ უკვე ყველაფერი ჰქონდა გათვალისწინებული, — ამ დროს ვანტანგი მოაწოდებს ბურთს. არა მგონია, აიღონ...

იმხანად უფროსი ლაბაძესავით თითქმის არავეინ აწოდებდა. ზემოდან ძლიერად მოჭრილი ბურთი ხშირად თავგზას უზნევდა ხოლმე მოწინააღმდეგეს.

გოგას ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ წეროძემ სწორად განალაგა გუნდი, ახლა უკვე ვარჯიშის დრო იყო და წეროძეს მიმართა:

— აბა, ერთი ამიწიე ბურთი, ოღონდ ძალიან მაღლა არა, ვცდი.

წეროძე ბურთს აწვდიდა, გოგა კი ნახტომში არტყამდა „ტოპკას“. მისი დარტყმა, ცხადია, ლაბაძისას ვერ უტოლდებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგისათვის თამაში მაინც უნდა გაერთულდებინა.

დარბაზში გასვლის დროც მოახლოვდა. გოგას კაპიტნის მოვალეობა გაახსენდა და გუნდი თავისთან იხმო.

— აბა, ბიჭებო, თავი არ დავზოგოთ. ყველამ ვიცით, რისთვისაც ვთამაშობთ...

— თქვა გოგამ და მეგობრებს სათითაოდ შეავლო თვალი. გოგას კარგად ახსოვდა, ამ სიტყვებს სეზონის დასაწყისში ზოგიერთები ირონიული ღიმილით ხედებოდნენ. მაგრამ დღეს არავის გაუღიმიო, წარბშეკრულნი უსმენდნენ კაპიტანს. და მან თქვა ის, რასაც რა ხანია აპირებდა ეთქვა, მაგრამ მუდამ ამ ირონიული ღიმილისა ეშინოდა და არც დღეს იტყოდა, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო ამ სიტყვების ძალაში:

— წმინდა გიორგის რაინდებო, გამარჯვებისკენ!

ჯაიანმა სიამოვნებით დაიკრუტუნა კიდევ. თურმე არც მისთვის იყო უცხო პატრიოტული რომანტიკა.

გოგამ მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა. ირგვლივ შემოკრებილმა მეგობრებმა ამ ხელს ჩასჭიდეს ხელები და წამით ერთი ძლიერი კვანძი შექმნეს, თანაბრად ყველას რომ უნაწილებდა ერთის ძალას, მეორის ნებისყოფას, მესამის იმედს, მეოთხის ოსტატობას, მეხუთის უდრეველობასა და მეექვსის უშიშრობას.

როცა გოგა და მისი გუნდი სათამაშო მოედანზე გამოვიდნენ, ზემოდან, დარბაზის მეორე სართულის სიმაღლეზე შემორტყმული აივნიდან, საკმაოდ კანტიკუნტი ტაშის ხმა გაისმა. იქ შეკრებილიყო თავიანთი ახალგაზრდების თამაშის საცქეროდ მოსული ქართველობა. მათ შორის რამდენიმე თეთრწყვირიანი მოხუციც ერია, რომელთაც ადრე ალბათ არც ენახათ ფრენბურთის თამაში ან ეგებ არც კი იცოდნენ ასეთი თამაში თუ არსებობდა ქვეყანად. მათ ირგვლივ კი მთელს აივანს ავსებდნენ კრეისერ „კოლონის“ და ეს-მინელი „ლუპანტოს“ მეზღვაურები.

როგორც კი იტალიელთა გუნდი მოედანზე გამოვიდა დარბაზმა იქუნა. უმეტესობას ხელში ეჭირა იტალიის დროშა, რომელსაც ენერგიულად იქნევდნენ.

აივნიდან მთელი ტანით გადმოკიდებულიყო ვლადიკი და მძის დასანახავად, თავს ზემოთ გამწარებული იქნევდა ხელებს. მის გვერდით სივო ილუროძე იჯდა. ცოტა მოშორებით კი თავშეკავებით ილი-

მებოდა კოლია ჯაფარიძე. გოგა თვალებით წააწყდა მის შეწუხებულ და კითხვით აღსავსე მზერას. იმედია, დაჭერებული ღიმილი შეაგება და ხელით ანიშნა, ყველაფერი რიგზე იქნება. შემდეგ პირთან მიიტანა ხელები, მძის ანიშნა, ყური დამიგდო და გარკვევით ასძახა:

— მანდ ფრთხილად იყავი. ხელავ, რამდენია! — გოგას მართლაც ეშინოდა სიკო და ვლადიკი იტალიელებთან ჩხუბში არ გახვეულიყვნენ.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, — მხიარულად უპასუხა ვლადიკმა — თქვენ ეგენი მანდ დაანგრეთ, ჩვენ აქ გავუძლებთ!

მოთელვის უკანასკნელი წუთიც მიილია. გოგა თვალს არ აშორებდა მოწინააღმდეგეს. იტალიელებს ლაუვარდისფერი მაისურები და თეთრი ტრუსები ეცვათ. გულისპირზე ამოქარგული ღერბით, მართლაც ძალზე ეფექტურად გამოიყურებოდნენ. ლაუვარდისფერი გუნდის წევრებად მოჰქონდათ თავი.

გოგა სახეზე არ იცნობდა მოწინააღმდეგეს ყველა მოთამაშეს, სათითაოდ აკვირდებოდა მათ. გუნდის კაპიტანს შეავლო თვალი. საუკეთესო ნაცნობ მოთამაშეს დაქვებდა. აი, ისიც. დაახლოებით გოგას სიმაღლისა იყო, მაგრამ შედარებით უფროსი ჩანდა. წვრილი, ნაპატიები ულვაშები ძალზე უხედებოდა. ვადასლეული, თითქოს ლაქით დაფარული შავი თმა ჰქონდა. ერთთავად სახეზე შეყინული დამცინავი გამომეტყველება (ალბათ იმიტომ, რომ გუნდში მხოლოდ ის იყო ოფიცერი) შესახედავად ნაკლებ სიმპათიურს ხდიდა.

ამასობაში იტალიელს ვილაცამ დაუძახა აივნიდან და მანაც ზევით აიხედა. იმავე წამს ეცვალა სახე, თვალებიც თითქოს შინაგანად გაუწათდა. გოგამ თავისდაუნებურად თვალი გააყოლა მის მზერას და იქ, აივანზე, მეზღვაურთა მუქ-ლურჯ ფორმებს შორის, ნაძვებისა და კვიპაროსების კორომში, მოზრდილი არყის ხის დაბად მჯდარი ჭევიფერთიანი გაღიმებული ლელიუკი დაინახა.

გოგას ეცნო ჟაკლინის ღიმილი: ამგვარად მხოლოდ იმას უღიმიოდა, ვინც მოსწონდა. მას ხელში იტალიური დროშა ეჭირა და შორიდან ელაპარაკებოდა კაპიტანს.

— ლუიჯი ჩევენინი! — მიხვდა გოგა. აი, ვინ ყოფილა ჟაკლინის საქმრო! გულში გაკენწილი ეჭვის მიუხედავად, გოგა იძულებული იყო ელიარებინა, რომ ჟაკლინის არჩევანს იწონებდა. იმასაც მიხვდა, უსამართლოდ ბრაზობდა: ჟაკლინისათვის საქმრო ხომ ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო ამქვეყნად.

„აჰ, ეგრე? მე ვერც კი მხედავ, არა? კარგი, აბა, ვნახოთ...“ იმ წუთას ჟაკლინისაკენ მონიკ რუსელი გადაიხარა (ისიც აქ ყოფილა!) და რაღაც წაჩურჩულა. ჟაკლინმა საქმროს თვალი მოაშორა და ძალზე თბილად, თითქოს არაფერი მომხდარიყო, გოგას გაუღიმა. მაგრამ გოგა ისე იყო გაბრაზებული, ოდნავ დაუკრა თავი, ხელი საკმაოდ მრავლისმეტყველად აამოძრავა. ჯერ მაკარონი გამოხატა ჰაერში და მერე ეს მაკარონი მაჯაზე გადაიხვია. ჟაკლინი მიუხვდა და გამომწვევი ღიმილით გადაიქინა თავი, თითქოს ეუბნებოდა: „ვნახოთ, ვნახოთ!“.

ჩევენინიმაც შენიშნა, ჟაკლინი ვილაცს სხვას რომ უცქერდა. მანაც გოგასკენ მოაბრუნა თავი და მის თვალებს წააწყდა გოგა დაჟინებით უცქერდა, ცდილობდა

სახეზე დამცინავი ღიმილი გამოეხატა. ჩევენინი კი გაოცებული და დადარაჯებული მზერით აკვირდებოდა. მიხვდა, გოგა, რა ეჭვიანი იყო იტალიელი.

წუთის შემდეგ იტალიელმა შეხედდა გოგას. რად და მტრულად შეხედა გოგას. გოგამ სცადა სახეზე ცივი, ავღლებული გამომეტყველება აღებეჭა, მაგრამ მთლად მაინც არ იყო დარწმუნებული, თუ რამე გამოუვიდა.

ამასობაში მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა და გუნდები მოედანზე გავიდნენ. შეძახილებისა და ყვირილის ახალმა ტალღამ გააყარა დარბაზი.

— წინ, იტალიელებო! — მთელი ეს ღრიანცელი გადაფარა ვილაცის კარგად დაყენებულმა ტენორმა.

გოგამ უკანასკნელად ასწია თავი, თვალებით მძა მოძებნა და პირის მოძრაობაზე მიხვდა, რას ყვიროდა. მაგრამ იტალიელებს როგორ გადაფარავდა ვლადიკი? თუმცა, როგორც კი ხმაური ოდნავ ჩაიცრა, გოგას სმენას მაინც მისწვდა:

— წინ, წმინდა გიორგი! — აივნიდან კი არა, სადღაც ქვევიდან, მოედნის გასწვრივ ყვიროდნენ ხმაშეწყობილად.

გაოცებული გოგა შებრუნდა და ახალგაზრდების ჯგუფი დაინახა. ალბათ ახალგაზრდების ქრისტიანული გაერთიანების წარმომადგენლები იყვნენ. ჯაიანის მეგობრებს — ამერიკელებს, ინგლისელებს, პორტუგალიელებს ერთ ჯგუფად მოეყარათ თავი და ერთხმად გაჰყვიროდნენ: ჯაიანის გუნდს უჭერდნენ მხარს.

თამაში დაიწყო. გოგას კარგად ეხერხებოდა სასურველი, ნაკლებდაცული ადგილისკენ გაეგზავნა მოწოდებული ბურთი. მაგრამ გადაწყვიტა, ჯერ არ გამოემჯღავნებინა თავი, სჯობდა, გადაწყვეტი წუთებისთვის შემოეხანა. პირველი დარტყმა იტალიელებისთვის მოუხერხებელ, ცენტრალურ პოზიციასში ბადესთან მდგარი მოთამაშისკენ გაეგზავნა. ის იძულებული შეიქმნა ბურთი გაუთამაშებლად, პირდაპირ მიეწოდებინა კაპიტნისათვის. თუმცა გადაწოდებაც არაზუსტი გამოუვიდა და ჩევენინიმ, რომელიც მაღალი ტემპით არ გამოირჩეოდა (ეს უკვე იტალიელთა წინა თამაშებიდან იცოდნენ), პირდაპირ ბადეს სტყორცნა ბურთი, ქულა! პირველი კვალი გავლებული იყო!

მეორე მოწოდებას იტალიელი უკვე ელოდა. შედარებით ზუსტად მიიღო ბურთი. კაპიტანს კი აღარ აუწია დასარტყმელად, მხოლოდ გადააწოდა. ჩევენინიმ კი უკვე მესამე მოთამაშეს გაუსწორა ბურთი ბადესთან, მის გასწვრივ რომ იდგა და მანაც არაძლიერად, მაგრამ ზუსტად დაამიწა ბურთი ქართველთა მოედანზე. ასეთ კომბინაციას ყფიფიანი არ ელოდა და ბადესთან მდგარმა, დარტყმის ჩაკეტვა ველარ მოასწრო.

აივანი ხმაურით შეხვდა თავისი გუნდის პირველ წარმატებას.

შემდეგ თამაში თანაბრად წარიმართა და უფროსი ლაბაძე წინა ხაზიდან მაშინ გავიდა, როცა ანგარიში 5:5 გახდა. ეს უკვე მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო, რადგან ახლა ქართველთა გუნდს თავდამსხმელი ბადესთან აღარ ჰყავდა. იქ იდგნენ გოგა, წეროძე და ჯაიანი. თუმცა ლაბაძის მოწოდებული ბურთის იმედი ჰქონდათ.

პირველი ბურთი ლაბაძემ ყუბზარასავით სტყორცნა, მერე მეორე, მესამე, და ანგარიში 8:5 გახდა. იტალიელებმა წუთშესვენება აიღეს. გოგა ყურადღებით აკ-

(გაგრძელება გვ-16 გვერდზე)



ახელგანთქმული ფრანგი მხატვარი — პოსტიმპრესიონისტი, პოლ გოგენი, იმ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება განუყოფელ, ურღვევ მთლიანობას წარმოადგენს, და არ არსებობს, ალბათ, ადამიანი, მასავით დიდი მსხვერპლი რომ გაეღოს ხელოვნებისათვის: მან უარყო შეძლებული, კომფორტაბელური ცხოვრება, საზოგადოებრივი მდგომარეობა, ცივილიზებული სამყარო, ოჯახი, სამშობლო და საბოლოო ჯამში, ჯანმრთელობა და თავად სიცოცხლეც კი.

უკვე ოცდაცამეტი წლის ასაკში გოგენმა მიატოვა ყოველივე და წყნარ ოკეანის შორეულ კუნძულებზე გადასახლდა, რათა მშვენიერი და ხელუხლებელი ტროპიკული ბუნების წიაღში, ეპოვნა სიმშვიდე და პარმონია, და, რაც მთავარია, შეექმნა ახალი, განუმეორებელი ხელოვნება. აქ მან მართლაც იპოვნა თავისი სტილი — ამის სტიმული მას კუნძულის ეკზოტიკურმა სილამაზემ მისცა.

ეს სურათი ძალზე დამახასიათებელია გოგენის შემოქმედებისათვის თავისი სტილითაც და სიუჟეტითაც — ჩვენ ვხედავთ ტაიტის ბუნებას და მის მკვიდრთა ფიგურებს, და მხოლოდ თანდათან, დაკვირვების შემდეგ ვამჩნევთ, რომ ეს, ფაქტიურად, ყერმა ქრისტეს თაყვანისცემის ქრისტიანული რელიგიური სცენაა. ამაზე მივვითითებ წვრილი ოქროსფერი შარავანდედები დედისა და ბავშვის თავებს ზემოთ და ქალიშვილთა ხელების შესტები.

მაგრამ ამ უმნიშვნელო დეტალების გარდასხვა არაფერი გვაგონებს ქრისტიანულ ლეგენდას. პირიქით, აქ ყოველივე სულ სხვა, ტროპიკული სამხრეთული სამყაროს სუნთქვითაა გამთბარი. ამ ატმოსფეროს შესანიშნავად ეთანხმება გოგენის სტილი — დეკორატიული და მკლერი, განზოგადებული და ლაკონური. მხატვარმა შეგნებულად უარყო გამოსახვის ობიექტური სიზუსტე და მიმართა პირობითობას, იმისთვის, რომ ამ პირობითი ხერხების მეშვეობით გაეძლიერებინა სურათის გამომსახველობა, უფრო ღრმად გამოეკლონა თავისი გრძობები. ერთი სიტყვით, გოგენი ხატავდა არა იმას, რასაც ხედავდა, არამედ იმას, რასაც გრძობდა.

დააკვირდით, თუნდაც, გოგენის ფერებს — ისინი, რასაკვირველია, პირობითია, რადგანაც აბსოლუტური სიზუსტით არ გადმოსცემენ ნატურას — გაცილებით უფრო მკლერი, ძლიერი და სუფთაა, ვიდრე ბუნებაში. სამაგიეროდ, რა უხვი და მდიდარია წითელი, თეთრი, ოქროსფერი, მწვანე ლაქების პარმონია. რა ცოცხლად გადმოსცემს ეს ინტენსიური ფერადონება შორეული ეკზოტიკური მხარის თავისებურ მომხიბლობას.

ამას გარდა, შეხედეთ, რა დიდი როლი ენიჭება ფერს ფიგურათა ფორმების შექმნაში. გოგენი აქ მეტად თავისებურ, უჩვეულო ხერხს იყენებს. ძერწავს ფორმას არა შუქჩრდილის თამაშით, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ სუფთა ფერის დიდი ლაქების დაპირისპირებით. ფერიცა და ფორმაც განზოგადებულია, განთავისუფლებულია ყოველივე შემთხვევითისაგან, რაც დიდებულიების, მნიშვნელოვნების ელფერს ანიჭებს მათ. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს პერსონაჟთა გარინდული, სტატიური პოზები.

სწორედ დიდებულებისა და გარინდულობის ამ შეგრძნების წყალობით მხატვარს განსაკუთრებულ სიძალღეზე აძყავს თავისი პერსონაჟები. კარგად დავაკვირდით ამ სურათს, და მაშინვე ვიგ-

# პოლ გოგენი

რძნობთ, რომ თუმცა გოგენის მიზანი არ იყო ქრისტიანული რელიგიური სიუჟეტის ასახვა, მაგრამ მას არ სურდა აგრეთვე შეექმნა უბრალო, ყოფითი სცენა კუნძულელ აბორიგენტთა ცხოვრებიდან — ეს უფრო ჰგავს ოცნებას იდეალურ ქვეყნებზე, პარმონიისა და მშვენიერების სიმბოლოს.

ამავე დროს, ეს სიმბოლო სულაც არ არის განყენებული და მშრალი. პირიქით, გოგენის მონუმენტური, ძლიერი პერსონაჟები გასაოცარ სასიცოცხლო ენერგიას ასხივებენ. ამასვე უწყობს ხელს სურათის ეფექტური დეკორატიულობა და სილამაზე. გოგენი არ მისწრაფოდა გარე სამყაროს ზუსტი გამოსახვისკენ — რეალურ ბუნებას იგი მკლერი ორნამენტებით აღიქვამდა. ფიგურათა მკაფიო კონტურები, ქსოვილთა ცხოველხატული ნახატები, ფოთლების, ყვავილებისა და ტოტების ქსელი სიბრტყობრივი ორნამენტული დეკორაციის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც კიდევ უფრო ძლიერდება მხატვრის მიერ სიღრმისა და სივრცის უარყოფის გამო. დააკვირდით სურათის ფონს: მწვანე, ნაცრისფერი, წითელი, ყვითელი პირიზონტალური ზოლები განსაკუთრებულ პირობითობას ანიჭებს მას. ქალიშვილთა ფიგურების ზომათა პერსპექტიული შემცირებაც კი არ იწვევს სიღრმის შთაბეჭდილებას. გოგენს ეს ორი გამოსახულება სჭირდება იმისთვის, რომ კომპოზიციურად გააწონასწოროს სურათის მთავარი პერსონაჟი — წინა პლანზე, კიდესთან მდგომი ბავშვიანი დედის დიდი ფიგურა.

გოგენის სტილის სიბრტყობრიობა, დეკორატიული ფერადონება, პირობითობა აღმოსავლური ქვეყნების ხელოვნებას გვაგონებს. გოგენს იგი ძალიან უყვარდა, და მისმა ფერწერამ სხვებისაც გაუღვიძა ინტერესი არაევროპულ ხალხთა შემოქმედებისადმი.

პოლ გოგენმა ძალზე დიდხანს ვერ მიიღო დამსახურებული აღიარება. მისი სტილი იმდენად უჩვეულო და მკვეთრად თავისებური იყო, რომ ტრადიციული ხელოვნების კანონებზე აღზრდილი საზოგადოება დიდხანს ვერ ხედავდა მის ღირსებებს. და მხოლოდ მრავალი წლის მერე, როდესაც ტროპიკული სენით დაავადებული მხატვარი გარდაიცვალა მარკოზის კუნძულებზე, მისი ფერწერა პოპულარული და ყველასათვის საყვარელი გახდა. და ამჟამად ჩვენთვის ძნელიც კია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ვერ გრძნობდა ოდესღაც მაყურებელი გოგენის დიდებულ და პოეტურ ტილოთა მომხიბლობას.

თაა ჯალალანია.

## ლევონ პოლოსიანი.

მშობლები ბავშვობიდანვე ჩამჩიჩინებდნენ, ხამედიცინოზე შედი, ამაზე კარგი დარგი არ არსებობსო. სამწუხაროდ, ანატომიასა და ბიოლოგიაზე მწყრალად ვიყავი.

უფროალიხტიკა წუსტად საშენოა, მირჩიხს, ხალხში გაერევი, ქვეყანა გაგიცნობსო. მე კი გაგონება არ მინდოდა.

— პოლიტექნიკური რითაა ცული? ინჟინერი გამოხვალ, ხილებსა და კაშხალებს ააგებ, არხებს გაიყვან, — არ მეშვებოდნენ ნათესავები, — დაწინაურდები, კაბინეტში გამოიჭიმები.

ცხადია, მაღაზიის გამგეობაზე უარს არ ვიტყოდი. ათახნაირი საქონელი ჩემს ხელში გავვიღადა, ყუღამდე ავივსებოდი.

— ბავშვი არ დაღუპოთ! — გაწყრა ბიცოლა. — აქ სულ სხვა ყაიდის კაცია საჭირო. ეს კი ისეთი უნდლია, სახელმწიფო ქონებას გაფლანგავს და ციხეში უკრავენ თავს.

— კონსერვატორიაში სცადოს, — ჩაიჩიფჩიფა ბებიამ.

— ხმა რომ არა აქვს? — იკითხა ვიღაცამ.

— რა საჭიროა? დიბლომს მიიღებს, ფილარმონიის დირექტორად დანიშნავენ, საკუთარი ლოჟა გვექმნება, — თვალი ჩამიკრა დაიკომ.

— პატარობიდანვე ხამედიცინოზე ოცნებობდა, — აწუწუნდა დედა.

— ავადმყოფთან ჩემს მტერს ჰქონდეს საჭმე, — კრიჭაში ჩაუღდა ბიძია. —

ზოგვეტერინალურზე შეიტანოს საბუთები. პირუტყვი უნოა, ვერ უჩივლებს.

— იურიდიულს არაფერი შეედრება, — გულმა ვერ მოუთმინა ბიცოლას.

— იქაც ტვინი უნდა იქუტიტოს, — დაუშატა ნათლიამ, — კანონები ზეპირად უნდა იცოდეს.

— რას ამბობ, ქალო? — არ იზლიდა ბიცოლა, — ჩემი მაზლიშვილი დიდი ბეჟის პატრონი არ იყო, მაგრამ დღეს პროკურორია.

— ფილოლოგიურზე მაინც ჩააბაროს, — ჭიუტობდა დედა.

კამათი ცხარდებოდა. ჩემს მომავალზე ზგობდნენ. ვიფიქრე, ხელს არ შევუშლი, პაერზე გავალ, გავისიერებ-მეთქი.

რა დაგიმალათ, ფუქსავატობა მომწყინდა.

სანაპიროს ჩაფუყევი... სტენღზე გამოკრული ვანცხადებები ჩავიკითხე. სხვადასხვა დაწესებულება სამუშაოდ იწვევდა სპეციალისტებს.

გადავწყვიტე, ხელობა მესწავლა.

დამეხისმარა, თითქოს მკლავებში დევის ძალას ვგრძნობდი, ლითონს ვღუნავდი, ვაწრობდი, კვერავდი...

დღეს უკვე მოწინავე მუშა ვარ. პატივს მცემენ. ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს, ჩემი მითითებებით, პროექტებში შესწორებები შეაქვთ. ხარატი ვარ და ამაყად მივირავს თავი...

სომხურიდან თარგმნა მამიკონე თამარიანმა.










ბარსელონა.




ეროვნული  
გიგანტოთეკა

წმინდა იაკობის ტაძარი.



სკულპტურული ძეგლი დონ-კიხოტი და  
სანჩო პანსა.

სამეფო სასახლე.



არქიტექტურის მუზეუმი.






# ქართულები ბარსელონაში




ბარსელონის ერთ-ერთი ქუჩა.



გამოფენის ტერიტორიის საერთო ხედი.



ქართული მოდელების ჩვენება საქართველოს პავილიონში.



ფოტო ოთარ თურქიასი.

გოიას ძეგლი.





# CUBA





ცნობილმა კუბელმა მწერალმა და ჟურნალისტმა ნორბერტო ფუნტესმა გამოქვეყნა წიგნი „ჰემინგუეი კუბაზე“, სადაც მრავალ შთამბეჭდავ ეპიზოდთა შორის აღწერილია ფიდელ კასტროსა და დიდ ამერიკელ მწერალს შორის შეგობრული ურთიერთობის მეტყველი ნიუანსებიც... მასალას ამასთან დაკავშირებით წაიკითხავთ ჟურნალ „დროშის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოშვებულ № 2 კრებულში, ამჟამად კი ანონსის სახით გთავაზობთ უნიკალურ ფოტოსურათს და მცირე ნაწყვეტს მომავალი პუბლიკაციიდან.

# გოლფსტრიმის უკველესი საიღუპლო

**ფიდელ კასტრო:** მუდამ კეთილ მეგობრებად იმეანდა ჰემინგუეის წიგნები. ალბათ, ყოველი ადამიანი ირჩევს წიგნებს, რომელთაც განსაკუთრებულად, გამორჩეული მახლობლებივით ენდობა და მუდამ გვერდით იყენებს... მრწამსითა და ენერჯიით. სწორედ ასეთ წიგნებად იქცნენ ჩემთვის ჰემინგუეის ნაწარმოებები.

**ნორბერტო ფუნტესი:** ხშირად კითხულობთ ზოლმე?

**ფიდელ კასტრო:** „ვის უხმობს ზარი“, ალბათ, საჩქერ (თუ მეტჯერ არა) მაინც წამიკითხავს. გარდა ამისა, ვნახე ამ რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი. არაერთხელ ვადამიკითხავს, აგრეთვე, „მშვიდობით, იარაღო!“ და „მოხუცი და ზღვა“. აფრიკაში ნადირობაზე — მხედველობაში მაქვს მწერლის მოთხრობები და დოკუმენტური ნაწარმოებები — თითქმის ყველაფერი წავიკითხე. კარგად ვიცნობ მის იმ ნაწარმოებებსაც, რომელთა მოქმედებაც კარიბის ზღვაში ხდება.


**ნორბერტო ფუნტესი:** მართალია, რომ ჰემინგუეის თქვენს საყვარელ მწერლად თვლით?

**ფიდელ კასტრო:** დიახ, ეს ასეა... პირველ რიგში, მიტაცებს თავისი რეალიზმი... იმიტომ, რომ საგნებს ზედმიწევნით ზუსტად აღწერს და ნათლად ხატავს. სუსტ ადგილებს ვერ მოუძებნი. ყველაფერი დამაჯერებელია და რეალისტური. გადაჰყავს რა მკითხველი ხან აფრიკის ველ-მინდვრებზე, ხანაც ხარებთან ბრძოლის არენაზე, იგი ახერხებს ისეთ-ნაირად წერას, რომ ღრმად გეჭიდება გონებაში, თითქოს და, პირადად ვანიცადეო ყოველივე. თუმცა, არსებობს სხვა მიზეზიც, თუ რატომ ვაფასებ მას ესოდენ დიდად — ერთ ჩემს გატაცებას უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ ჰემინგუეი წერს ზღვაზე. მე კი ვაღიარებ — საერთოდ ხანგრძლივად ვატარებ დროს ზღვაზე. უზღვოდ სიცოცხლე არ შემიძლია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვცდილობ ვისარგებლო ნებისმიერი საშუალებით ზღვაზე გასასვლელად.

**ნორბერტო ფუნტესი:** ჰემინგუეი შესანიშნავად აღწერს გოლფსტრიმს.

**ფიდელ კასტრო:** ჰო... გოლფსტრიმს, რომელიც ზუსტად ისეთია, როგორადაც აღწერს... მარადიული, მძლავრი დინებაა. მეც კარგად ვიცნობ ამ მღუმარე პეიზაჟს, წყლის ამ ტიტანურ სრბოლას, კუნძულის გასწვრივ რომ მოჰყვება სანაპიროს. ვიცნობ ამ პეიზაჟს და აღტაცებულიც ვარ მისით. ასე მგონია, კარგად მესმის-მეთქი, თუ რას განიცდიდა ჰემინგუეი ამ წყლებში ცურვისას.

**ნორბერტო ფუნტესი:** აკი ჩაიფიქრა კიდევ წიგნი იმაზე, რასაც „გოლფსტრიმის უძველესი საიღუმლოს“ უწოდებდა, ოლონდ, ჩანაფიქრისთვის ფრთების შესხმა ველარ მოახერხა.







ლია ჰავჭავაძის ცხოვრებითა და შემოქმედებით თავიდანვე და-  
ინტერესებულნი იყვნენ უცხოური კულტურის მოღვაწეები —  
მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მოგზაურები... ისინი სხვა-  
დასხვა დროს ჩამოდიოდნენ საქართველოში, ეცნობოდნენ ქარ-  
თველი ხალხის ისტორიას, მწერლობას, ხელოვნებას და სამ-  
შობლოში აქვეყნებდნენ ქართული კულტურის საკითხებზე მნიშვნელოვან  
სტატიებს, ნარკვევებს, რეცენზიებსა და თარგმანებს.

საქართველოში სამეგრეო იმოგზაურა პარიზის გეოგრაფიული ინსტიტუტის  
მეცნიერმა თანამშრომელმა ბარონ დე ბაიმ. ფრანგ მეცნიერს პირადი კონ-  
ტაქტები ჰქონდა ილია ჰავჭავაძისთან, აკაცი წერეთელთან, დავით სარაჯიშვილ-  
თან, გიგო ვაბაშვილთან... თავის წიგნში „თბილისი“ აი როგორ ახასიათებს  
იგი ილიას:

„...ილია ჰავჭავაძე საქართველოს ეროვნული, პოპულარული პოეტია, რომ-  
ლის ლექსებს მღერიან ქუჩებში, ქონძახებსა და სასახლეებში. თავადი ილია  
ჰავჭავაძე არის საქართველოს ინტელიგენციის დიდი წარმომადგენელი და  
ეკუთვნის უმადლეს არისტოკრატებს. ის, უპირველეს ყოვლისა, თანამედ-  
როვე ადამიანი და აქვს დიდი დამსახურება. ილია ჰავჭავაძე სათავადაზნაურო  
ბანკისა დამაარსებელი და მისი თავმჯდომარეა. მისი ხელმძღვანელობით გამო-  
დის გაზეთი „ივერია“, რომელიც ქართულ გაზეთებს შორის ყველაზე გავლენ-  
იანია. ილია ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების  
თავმჯდომარეა. იბრძვის ხელოვნების განვითარებისათვის ადამიანის სასარ-  
გებლოდ.

ილიას იუმორისტულ მოთხრობებს საქართველოსათვის ისეთივე მნიშვნე-  
ლობა აქვს, როგორც ნ. გოგოლის მოთხრობებს რუსეთისათვის. მისი პოეტური  
ნაწარმოები ღრმა ქრისტიანული, პატრიოტული და ფილოსოფიურია. უფრო  
ადრე ლეე ტოლსტოიმ გამოხატა ანალოგიური იდეები. ილიას ლექსების  
სტილი ახლოა სპარსული პოეტების პოეზიასთან. ეს შეიძლება აიხსნას ატა-  
ვიზმით, რადგან ილიას ოჯახთან დაკავშირებული იყვნენ სპარსული მოღვაწე-  
ების ოჯახები“.

საქართველოში 1889 წლიდან 1902 წლამდე გამოდიოდა ილუსტრირებული  
ფრანგული ჟურნალი „ლე კოკაზ ელუსტრე“. მისი მთავარი რედაქტორ-გა-  
მომცემელი იყო ფრანგი მწერალი ჟიულ მურიე. იგი ხშირად ათავსებდა ჟურ-  
ნალში სტატიებს ქართველ მწერლებზე, განსაკუთრებით დიდი ყურადღებით  
ეკიდებოდა ილიას ცხოვრება-შემოქმედების გაშუქებას.

ჟურნალის მეათე ნომერში დაბეჭდილია ჟიულ მურიეს სტატია „საქართვე-  
ლო და ქართველები“. ავტორი ფართოდ განიხილავს ქართული მწერლობის  
განვითარების გზებს. კერძოდ, ჩერდება ილიას შემოქმედებაზე და მიუთითებს,  
რომ „ილია არის დიდი პოეტი, რომელმაც თავის პატრიოტულ ლექსებში  
ასახა ქართველი ერის ცხოვრება, აშხილა საზოგადოებრივი მანქანებანი და  
ხალხს უჩვენა გზა ბედნიერებისაკენ. ილია არის ფილოსოფოსი, კარგი ორა-  
ტორი, გულისხმიერი ადამიანი და საფრანგეთის მეგობარი“.

ამის საილუსტრაციოდ იმომეგბეს ილიას სიტყვას, რომელიც მან წარმოთქ-  
ვა 1884 წლის 30 ნოემბერს. ერთ-ერთი თეატრალური წარმოდგენის შემდეგ  
გაზეთ „დროების“ რედაქციაში გამართულ ვახშამი, რომელსაც დასწრებია  
საფრანგეთის კონსული გ. მაიერი. იგი გულთბილად მისალმებია სპექტაკლის  
ორგანიზატორებსა და მსახიობებს. ილიას კი უთქვამს:

— ჩემმა პატარა ლიტერატურამ და თეატრმა ამ პატარა გაზეთის რედაქ-  
ციაში მიიღო დიდი ერის წარმომადგენლები... ბატონი კონსულის სიტყვები-  
დან ჩანს, რომ დიდსა და პატარა ერებს შორის შეიძლება თანამშრომლობა...  
მართალია, ჩვენ ღარიბები ვართ, არ გავაჩინა ოქრო და ვერცხლი, მაგრამ  
გულთ კი მდიდარნი ვართ. ერთ-ერთი სიკეთე ჩვენი გულია, რომელსაც გაძ-  
ლევთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მეგობრობა და თავიდან ავიცილოთ  
უბედურება...“

ამავე ჟურნალის მესამე ნომერში დაბეჭდა ილიას „განდევლის“ ფრანგუ-  
ლი პროზაული თარგმანი (მთარგმნელი ჟიულ მურიე).

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ „განდევლი“ ფრანგულ ენაზე უთარგმნია  
განდინი-კოლონასაც და დაუბეჭდავს კიდევ პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში  
1885 წლის ოქტომბერში („დროების“ ცნობა).

1882 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მეცნიერ-მოგზა-  
ური ევენ ორსოლი, რომელმაც შეაგროვა დიდძალი მასალები და 1885 წელს  
პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „ლე კოკაზ ე ლა პერს“ (კავკასი და სპარსეთი).  
ამ წიგნში ავტორი მსჯელობს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის  
საკითხებზე. ცალკე გამოყოფს ქართულ მწერლობას. გაცერით განიხილავს  
მისი განვითარების გზებს მეთორმეტი საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე.  
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველებს ყავთ შესანიშნავი მწერლები, რომე-  
ლთა ნაწარმოებები ხალხმა ზეპირად იცის... „ვერ ნახავთ ისეთ ქართველს,  
თუნდაც წიგნის უმეცარს, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს გრიგოლ ორბე-  
ლიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჰავჭავაძის, აკაცი წერეთლის,  
ერისთავებისა და მეტადრე, თავად ილია ჰავჭავაძის — კავკასის ამ ბერანეთს,  
რომელიც ლექსი. ჟურნალ-გაზეთები უფრო და უფრო ვრცელდება. „დრო-  
ება“ ყოველდღიური გაზეთია, „იმედი“ — პერიოდულად გამოდის, „ივერია“  
— თვიური მიმოხილვა, ყველაზე მეტად ცნობილია. ჩვენ ქუთაისში გვიტო-  
რეს, რომ გიმნაზიის ერთ-ერთი მასწავლებელი ქართულად თარგმნის მოლი-  
ტრის კომედიებს, მეორე კი სამეცნიერო თხზულებებში გამოსაყენებელ ტექ-  
ნიკურ სიტყვებს ეძებს... ქართველები დინტერესებულნი არიან ფრანგული  
კულტურით. ეს ხალხი ნიჭიერი და სიმბათიურია. მისგან ბევრს უნდა მოვე-  
ლოდეთ, როდესაც იგი ევროპის კულტურას ეზიარება“.

# ილია და უცხოელი მოღვაწეები

ბიზნესული  
ბიზნესული

ევროპაში ქართველოლოგიის მამამთავარს, ქართული კულტურის დიდ  
მკვლევარს, აკადემიკოს მარი ბროსეს შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირე-  
ბდა ილიასთან. ილიას ინიციატივით ქართველმა ხალხმა სახელგანთქნილი მეცნიერ-  
1902 წელს დაბადების 100 წლისთავის იუბილე გადაუხადა. ილიასავე თხოვ-  
ნით ქალაქის საბჭომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მარი ბროსეს სახელი უწოდა.

მარი ბროსე თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა ილიას ლექსებს, მოთხრო-  
ბებს, პუბლიცისტურ წერილებს. 1877 წელს მან ფრანგულ ენაზე თარგმნა  
„კაცია-ადამიანი“, რომლის ხელნაწერი სათაურით „თავდასავალი კაცის  
ადამის ძისა“, ორ ვართატად ინახება ლენინგრადში, მარი ბროსეს არქივში.  
აქ საკლებით შენარჩუნებულია ორიგინალის სათაურის ლიტმორტივი.

ილია ჰავჭავაძის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესდა სავრთაშო-  
რისო ჟურნალის „ნუველ ევროპის“ გენერალური მდივანი, ლექსმწერაში  
მოღვაწე მეცნიერი და მწერალი — როზმარი კიფერი. მან ამავე ჟურნალში  
გამოაქვეყნა სტატია „ქართული წიგნები“, რომელშიც გამოთქვა საგულისხმო  
მოსაზრებანი ქართული კულტურის საკითხებზე.

ავტორს დიდი ადგილი დაუთმია ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

— ილია ჰავჭავაძის შემოქმედება, — წერს როზმარი კიფერი, — მეტად  
ძვირფასია ჩვენთვის, მასში ასახულია საქართველოს სოციალური განვითარ-  
ების მნიშვნელოვანი ეტაპები, რომლებიც წარმოადგენს კომპლექსურ ფე-  
ნომენს. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ორ ეპოქას, ბატონყმობის გაუქმებისა და  
კაპიტალიზმის განვითარების მიჯნას. მწერალმა თავის ნაწარმოებებში ეპოქის  
მოთხრობილებათა შესაბამისად მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები წა-  
მოაყენა და თავისი შემოქმედებით იდეოლოგიური იარაღით გატაცებით იბრ-  
ძოდა მათ გადასაჭრელად.

ავტორი ეხება ილიას შეზღუდულებას ლიტერატურისა და ხელოვნების  
საკითხებზე და ბოლოს ასკვნის: „...ილია ჰავჭავაძეს მიაჩნია, რომ მხატვრუ-  
ლნი ლიტერატურა არის სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ  
იყო, რომ მწერალი იცავდა დებულებას ხელოვნების ცხოვრებასთან მჭიდრო  
კავშირის შესახებ. მისი აზრით ხელოვნება და პოეზია უნდა ემსახურებოდეს  
პრაქტიკულ ცხოვრებას. პოეზია არის სინამდვილის, ცხოვრების განსახიერება.  
ხელოვნება არის ცხოვრების ნაწილი. ილია თვლის, რომ საჭიროა ცხოვრე-  
ბასთან მჭიდრო კავშირი, მისი შესწავლა“.

საინტერესოა როზმარი კიფერის სტატია „ფრანგული ლიტერატურა საქარ-  
თველოში“. მასში აღწერილია ალექსანდრე დიუმას მოგზაურობა ჩვენს მი-  
წა-წყალზე. ავტორი გვიამბობს:

„...1973 წლის სექტემბერში თითქმის ამავე გზით ვიმოგზაურე მეც, ოდ-  
ონდ პირიქით, თბილისიდან წამსვლულებმა გადავიარეთ მთა და ალპინის დი-  
დებული ველით კახეთში ჩავედით. შაბათი დღე იყო, მთის კალთაზე ქართვე-  
ლები შინდს კრეფდნენ... შუადღისას ყვარელში — დიდი ქართველი მწერლის  
ილია ჰავჭავაძის სამშობლოში ჩავედით. დავითვალიერე სახლ-მუზეუმი, „სა-  
სახლე“, სადაც 1837 წელს დაიბადა პოეტი. ახალგაზრდობაში ილია ჰავჭავაძე  
თურმე ოცნებობდა გარბობადას არამის შეერთებულ იტალიაში. 1861 წელს  
პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაურცილავთ სტუდენტთა დემონსტრაციაში



მონაწილეობისათვის. იგი 1907 წელს გარდაიცვალა, პოლიტიკურ მმართველ-  
თა მოხელეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების მსხვერპლი გამხდარა.  
პოეტი იზიარებდა მისი თანამედროვე ფრანგი მწერლების იდეებსა და მუდამ  
პუშკინური იდეალოგისათვის იბრძოდა. ი. ჰავჭავაძის სახლის ერთ ოთახში  
ზედო მთმობდა მისი ლექსის რუსული ტექსტი, რომელიც მწერალმა 1871  
წელს პარიზის კომუნის დამარცხებასთან დაკავშირებით დაწერა... მთელი გუ-  
ლით უთანაგრძნობდა, პატივს სცემდა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ  
ხალხს. ეს სწორედ მას 1863 წელს შეუგულიანებია თანამემამულეები ეთარგ-  
მნათ ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხვნი“. შემოკლებული თარგმანი კიდევ გა-  
მოუქვეყნებია თავის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“.

ილია ჰავჭავაძის ბაღში, სადაც ძველი ხეების ჩრდილქვეშ ესაუზმობდით,  
ალაზნის ველზე მდებარე ყვარელმა, ამ პატარა ქალაქმა, ლუქსემბურგის პა-  
ტარა ქალაქი ფიანდენი მომავონა, სადაც 1871 წელს, პარიზის კომუნის და-  
მარცხების შემდეგ, ბრიუსელიდან განდევნილი ვიქტორ ჰიუგო სამი თვით  
ჩამოვიდა საცხოვრებლად და, სადაც მთელი რიგი პოემები დაწერა. ეს პოემე-  
ბი შედის მის კრებულში „საშინელი წელი“. ორი პატარა ქალაქი დავეუკავში-  
რე ერთმანეთს: ფიანდენი თავისი ბორცვებით, ტყეებითა და ციხე-კოშკებით,  
რალაცინარად ჰგავს ქართულ პეიზაჟს“.

ილია ჰავჭავაძის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესდა ქართველი  
ხალხის დიდი მეგობარი, ბელგიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჟორჟ  
ბუიონი. ბუიონი ორჯერ იყო საქართველოში და სამშობლოში დაბრუნების შე-  
შდეგ, 1978 წელს, გამოაქვეყნა წიგნი „ოქროსი საწმისის ქვეყანაში“. ამ წიგ-  
ნში განხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების გზები ძველი  
დროიდან დღემდე.

ავტორი ჩერდება ილია ჰავჭავაძის დამსახურებაზე ქართული ენისა და ლი-  
ტერატურის განვითარების საქმეში. აღნიშნავს, რომ ილია ჰავჭავაძე ნახევარი  
საუკუნის განმავლობაში შეეხო თითქმის ყველა პრობლემას, რაც ქართველ  
ერს აწუხებდა. ღრმა კვალი დატოვა ქართული კულტურული ცხოვრების  
ყველა დარგში.

საყოველთაოდ ცნობილია ილიას შემოქმედებითი ურთიერთობა არტურ  
ლაისტანს, გერმანელ მწერალთან, რომელიც ილიას მოწვევით ჩამოვიდა თბი-  
ლისში 1884 წლის ივნისში.

ერთ-ერთი სადილის დროს ილიამ თქვა:

— ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კის-  
რად იღო შუა კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ვერობას შორის, რომელმაც  
იტვირთა ჩვენს გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნ-  
ჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც წარმატების  
გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან... თუ აქობამდე შორიდან ვუყვარდით  
ბატონს ლაისტს, დღეს აქ მობრძანებულა, რომ ახლოს გაგვიცნოს. იმედია,  
რომ ახლოდ გაცნობილი ქართველი უფრო მეტად შეაყვარებს თავის თავსა...  
ღმერთმა აცოცხლოს ბატონი ლაისტი“.

არტურ ლაისტი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოში. მან გერმანულ  
ენაზე თარგმნა ქართველი პოეტების ლექსები, გამოაქვეყნა წიგნები ქართულ  
მწერლობაზე და გააცნო გერმანულენოვან სამყაროს. თარგმნილია „განდე-  
ვილი“, „ბინდი ალაზნის ველზე“, „ელეგია“, „ქართველის დედას“, „პოეტი“,  
„კითხვა-პასუხი“, „პასუხი“, „არაგვის პირას“, „მტკვრის პირას“ და სხვა მრავ-  
ალი ნაწარმოები.

არტურ ლაისტმა 1883 წელს გერმანულ ჟურნალში „მაგაცინ ფიურ დი ლი-  
ტერატურ დეს ინ უნდ აუსლანდეს“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ილია ჰავ-  
ჭავაძეზე. იგი წერს:

„...ილია ჰავჭავაძემ ამ ოცი წლის წინათ ხელი მიჰყო თავისი პირველი მო-  
თხრობების წერას. მისი მოთხრობები ჰგვანან კაცობრიული გრძნობების  
ფსალმუნებს. ილიამ თქვა: გლეხი თავისუფალი უნდა იყოს, ისიც ჩვენსავით  
ადამიანია. თავის ორ მოთხრობაში „კაცია ადამიანსა“ და „გლახის ნამ-  
ბობში“ გამოხატულია ბატონყმობის სასტიკი რეჟიმი, ბატონების სიმკაცრე  
და ყმების სიღატაკე“.


გერმანელი ავტორი შემდეგ მალაღ შეფასებას აძლევს ილიას „განდევლის“  
და აღარებს მას ლერმონტოვის „დემონს“.

ილიასთან მეგობრული და შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდათ დამყარე-  
ბული ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლებს — მარჯორი და ოლი-  
ვერ უორდროუებს. ისინი პირადად იცნობდნენ ილიას ოჯახს, სისტემატური  
მიმოწერა ჰქონდათ ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის  
შინაშეწელოვან საკითხებზე, ინგლისურ პრესაში გამოაქვეყნეს სტატიები ილიას  
შემოქმედებაზე.

მარჯორი უორდროუმ ინგლისურ ენაზე თარგმნა ილიას „განდევლი“ და  
დაბეჭდა ლონდონში. ილიას ლექსებიდან მის მიერ აგრეთვე თარგმნილია და  
ხელნაწერების სახით დაცულია ოქსფორდში: „ჩვენო არაგვო, რაიგ მისყვარ-  
ხარ“ („აჩრდილიდან“), „ელეგია“, „მკრთალი ნათელი მთავარისა“, „გა-  
ზაფხული“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“, „ბაზალეთის ტბა“. ეს დაბეჭდვები  
ლექსები ინგლისში ყოფნისას მიაკვლია გურამ შარაძემ.

მარჯორიმ თარგმნა აგრეთვე ილიას „მგზავრის წერილები“, „ვეფხისტყაო-  
სანი“, „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, „სიბრძ-  
ნე სიკრუისა“. ოლივერმა გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს სამეფო“ და  
თარგმნა ილიას „ავტობიოგრაფია“.

ილიას მოღვაწეობით დაინტერესდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარ-  
ტეგოლოგიის“ რედაქცია. პარიზელმა მეცნიერმა, ამავე ჟურნალის რედაქ-  
ტორ-გამომცემელმა, პროფესორმა კალისტრატე სალიამ ამ ჟურნალის 1966 წლის



XXI ტომში გამოაქვეყნა სტატია „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ეხე-  
ბა სამი დიდი ქართველი მწერლის — ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებას.  
პარიზელი ავტორი ვრცლად ჩერდება ილიას ცხოვრება-შემოქმედებაზე,  
აანალიზებს მწერლის მთავარ ნაწარმოებებს, აღნიშნავს, რომ ილიას მთელი  
ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა გატენითილია ხალხისადმი  
სიყვარულითა და ზრუნვით. მთელი მისი შემოქმედება გამოთარია ჰუმანიზმით.  
აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ილიას ცხოვრებითა და შემოქმედებით და-  
ინტერესდა ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში მოღვაწე გამოჩენილი იტა-  
ლიელი პოეტი, საერთაშორისო ჟურნალის „ნუველ ვერობის“ დირექტორი  
მიმო მორინა. იგი თავისი ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავს  
თარგმანებს ქართული ლიტერატურიდან და სტატიებს ქართველ მწერლობაზე.  
მიმო მორინა აღნიშნავს, რომ ილია თავისი შემოქმედებითი მხატვრული მე-  
თოდით ენათესავება ვიქტორ ჰიუგოს. ერთ-ერთ წერილში ის გვწერს: „თქვენი  
სტატია ილია ჰავჭავაძეზე წავიკითხე და გადავიცი როზმარი კიფერს, რო-  
მელიც მუშაობს ფრანგულ ტექსტებზე. დაიბეჭდება ერთ-ერთ მომავალ ნო-  
მერში. ხომ არ შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ილიას ლექსები და ფოტოსუ-  
რათი?“

ამ სტრიქონების ავტორმა თხოვნისამებრ უკვე გაგზავნა ფოტო და ოთხი  
ლექსი: „ელეგია“, „პარიზის კომუნა“, „მუშა“ და „როცა მოკვდები“ (თარგ-  
მანი სერჯი წულაძისა).


მიმო მორინა და როზმარი კიფერი მოწვეული არიან ილია ჰავჭავაძის  
იუბილეზე წელს ოქტომბერში.

დიდი ილიას დაბადების 150 წლისთავის იუბილე ჩატარდება არა მარტო  
ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ თარიღისათ-  
ვის ემზადებიან უცხოელი ქართველოლოგებიც.

სარგო თურნავა,

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფრო-  
სი მეცნიერი თანამშრომელი, საფრანგეთის რემზოს კულტურის ცენტრისა  
და კანადის საზოგადოების „ეკრითურ ფრანსეზ და ლე მონდის“ წევრ-  
კორესპონდენტი.





ვირდებოდა ბადის იქით, ხანშიშესული, ჩასუქებული მწვრთნელის ირგვლივ თავმოყრილ იტალიელებს. ყველაფერზე ეტყობოდათ, დაბნეულები იყვნენ. მწვრთნელი რაღაცას უხსნიდა მოთამაშეებს, გაცხარებული იქნევდა ხელებს. და მოთამაშეები უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ. გოგამ თავისუფლად ამოიცირა ხანშიშესული მწვრთნელის მრავლისმეტყველო ექსტიკულაცია, ლაბაძეს მიუახლოვდა და უთხრა:

— უკანა ხაზს ცოტა წინ სწევინ, შორი სანთლები ჩაუქადე, ზურგს უკან.

ლაბაძემ რატომღაც ყურად არ იღო რჩევა. ალბათ ჩათვალა, რომ ახლა დადგა გადაამწყვეტი წუთი, თუკი წუთშესვენების შემდეგ იტალიელები კვლავ ვერ შესძლებდნენ მისი ჩამოწოდებული ბურთის აღებას, მოტყდებოდნენ და პირველი პარტიის მოგება თავისუფლად შეიძლებოდა.

ცხადია, არც ეს იყო ურიგო აზრი, მაგრამ დამუშავებისას ლაბაძემ ძალზე დაბლა გაგზავნა ბურთი და ბადეს მიართვა. იტალიელებმა მოწოდება მოიგეს, ქართველებს კი მოედანზე ყველაზე არახელსაყრელი განლაგება ჰქონდათ: პირველ შემტევ პოზიციაზე გოგა იდგა.

იტალიელებმა სულ უბრალოდ მოაწოდეს ბურთი უკანა ხაზზე. ქართველებმა აუღელვებლად გაითამაშეს და მეორე გადაწოდების შემდეგ, გოგა დასარტყმელად ახტა, მაგრამ ცოტა ნაადრევად მოუვიდა, წეროქმაც ძალზე მალლა აუწია. ამდენად, დარტყმა მხოლოდ დაშვებისას შესძლო და ბურთი აუტში გავიდა — 8:6.

გოგა მზად იყო მიწა გახეთქოდა და თან ჩაეტანა. პირველივე დარტყმით ქულა მისცა მოწინააღმდეგეს: ჟაკლინმაც დაინახა მისი ხელის მოცარვა და ალბათ უხარია კიდევ, ეშმაკმა წაიღოს!

— არა უშავს, არა უშავს, გოგა, ჩემი ბრალია, — დაამშვიდა გამოცდილმა წეროქმე, მიხვდა, რასაც განიცდიდა მეგობარი.

იტალიელებს არც მეორე ბურთი მოუწოდებიათ რთულად. ქართველებმა ისევ ორჯერ გაათამაშეს ბურთი და ამჯერად გოგამ საკმაოდ ძლიერად და ზუსტად დაარტყა. იმ მხარეს ბურთი მიიღეს, მაგრამ შემტევი დარტყმის შესრულება ვეღარ მოახერხეს. ქართველთა გუნდმა მოწოდება აიღო. შეცვალა. თამაში ესევცვალა დაიწყო წარმატებით გაგრძელდა. ყიფიანმა ორჯერ ზედიზედ დაარტყა წარუმატებლად და ანგარიში გათანაბრდა: 12:12.

შემდეგ კი იტალიელებმა გაასწრეს ერთი ქულით.

კრიტიკული წუთი დადგა, მაგრამ შემდეგი შეცვლისას ბადესთან უკვე ვახტანგ ლაბაძე იდგებოდა. აუცილებლად, რაღაც უნდა დაჯდომოდან, მოწოდება უნდა აეღოთ. და გოგამ წუთშესვენების აღება არჩია.

— ბიჭებო, მოდით, ასე მოვიქცეთ, — უთხრა ვარს შემოხვეულ მეგობრებს. — პირველ პასს მე ვიღებ. შენ, ყორა, ცრუ მოძრაობას გააკეთებ, თითქოს დარტყმას აპირებ. მე კი შენ თავს ზევით რევანს გადავწოდებ ბურთს. შენ რევანს, — უმცროს ლაბაძეს მიმართა გოგამ, — ძლიერად ნუ დაარტყამ. მოატყუე, დარწმუნებული ვარ, ყორას ჩაქეტავენ, ადგილი განთავისუფლდება და იოლად შეძლებ ბურთის დამიწვებას.

არც შემცდარან. რევანს ლაბაძემ მსუბუქი მოძრაობით გაუშვა ბურთი მეორე ხაზის ცენტრში განთავისუფლებულ ადგილას, მაგრამ მაინეტემ, იტალიის ფლო-

ტის ფეხბურთელთა მეკარემ, ფრენბურთსაც რომ თამაშობდა, წარმოდგენილი ნახტომით მიიღო ბურთი. შემდეგმა მოთამაშემ კი რთული მდგომარეობიდან შეძლო ძალზე მოხერხებულად ჩაეკიდა იგი უკვე ბადესთან მისული კაპიტნისათვის. მანაც შეუჩერებლად დაარტყა. მაგრამ გოგა გამორბენის სისწრაფეს მიუხვდა. თვითონაც ახტა და დარტყმა ჩაქეტა. ბურთი იტალიელთა მოედანზე დაეცა. ეს იყო პირველი. მართლაც ლაბაზად გათამაშებული კომბინაცია.

— წინ, წმინდა გიორგი, — გაისმა ჯაიანის მეგობრების ყვირილი. აივანზე კი აღტაცებული ვლადიკი და სიკო იქნენ ვინც ხელებს. წარმატებამ გული აუჩუყა გოგას. უცებ ბადის იქით მაინეტს შეავლო თვალი, რომელსაც ადრე ფეხბურთის მოედანზე შეხვედროდა, და მოწონების ნიშნად ცერა თითო დაანახა. მანაც პასუხად თვალი ჩაუკრა.

მოედანზე დაძაბულობა მატულობდა. ჩევენინი ღელავდა. მან არაფერი იცოდა გოგას შესახებ, ეჭვითაც ვერაფერს იტყვიანებდა. მაგრამ რატომღაც არ მოსწონდა ეს ქართველი მის საცოლეს რომ რაღაცას ანიშნებდა თამაშის დაწყებამდე.

ჩევენინიმ სცადა დაუყოვნებლივ გამოესწორებინა შეცდომა და მოახერხა კიდევ. მოსაწოდებლად წასულმა გოგამ ბურთი მოწინააღმდეგისათვის ძალზე მოუხერხებლად, უკანა ხაზზე გაგზავნა. იტალიელებმა მაინც შეძლეს ბურთის მიღება, გაითამაშეს და ჩევენინის დასარტყმელად აუწიეს ისე, როგორც უყვარდა — საშუალო სიმაღლეზე და ბადესთან ახლოს. ბურთთან ერთად შემტარა ჩევენინიმ დარტყმა და ლურსმანივით ჩაჭედა ბურთი ქართველთა მოედანზე. ყიფიანმა ისევ დაავიანა დარტყმის ჩაქეტვა.

— ნუ გძინავს, ყორა, — დაუყვირა გოგამ. — ყოველი დარტყმა უნდა ჩაქეტო, ბლოკი არ უყვარს.

აივანი ყვიროდა და ტაშს უკრავდა. გოგამ ზევით ახედა და დაინახა, რომ ჟაკლინიც აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს. კარგი, ეგერი იყოს!..

თამაში ისევ გათანაბრდა. თოთხმეტითოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტითექვსმეტი... ასეთი რამ ფრენბურთში იშვიათად ხდება ხოლმე. ქართველებმა სამი გეიმ-ბალი გადაარჩინეს, მაგრამ იტალიელებმაც იხსნეს ორი. ანგარიშია 17:17.

ბურთის მოსაწოდებლად ვახტანგ ლაბაძე გავიდა. ყუმბარასავით დარტყმა და ანგარიში 18:17 გახდა. მესამე გეიმ-ბალი წმინდა გიორგის გუნდის სასარგებლოდ. ღმერთო ჩემო, ფიქრობდა გოგა, ერთი ეგეთი ბურთიც, ვახტანგ, კიდევ ერთი! მაგრამ ლაბაძე ანაზლად შედრკა და თავისი ძლიერი დარტყმის ნაცვლად ბურთი ჩვეულებრივად, დაუმუშავებლად ჩააწოდა.

— მერვეზე ყურადღება! — დაუხანებლად იყვირა გოგამ, — ბლოკი!

მის მარჯვენე მდგარი ჯაიანი და წეროქმე ერთად შეხტნენ. იტალიელთა მერვე ნომერმა თავის წინ აღმართული ხელების კედელი რომ დაინახა, „ტოპკის“ დარტყმა ვეღარ გაბედა და ცრუ მოძრაობით, ზურგს უკან გადაუღლო ბურთი.

მაგრამ გოგა ელოდა ამ დარტყმას, ელვისებური ნახტომით მიიღო ლამის მიწამდე დაშვებული ბურთი. წინა ხაზის მოთამაშეთა წყობა ერთიანად დაირღვა. ვახტანგ ლაბაძემ წამის უსწრაფესად გა-

იაზრა მდგომარეობა, აღარავისთვის აუწყვია, მეორე შეხებაზე კარგი მომზადებით, უკანა ხაზისკენ დაარტყა. არც იტალიელები ელოდნენ, ამ ბურთის აღება თუ შეიძლებოდა და დაიბნენ.

ახლა უკვე ორივე მხარე ღელავდა. აჩქარებული, ნაკლებად გააზრებული გადაწოდებები ერთმანეთს მიჰყვავდა. მოთამაშეებს ერთი სული ჰქონდათ, ბურთი თავიდან მოეშორებინათ და მოწინააღმდეგის მხარეს გაეგზავნათ. ამიტომ ის მოიგებდა ქულას, ვინც პირველი მოახერხებდა დამშვიდებას. ყველაზე ადრე გოგამ შეძლო დაბნეულობისაგან თავის გაღმწევა. როცა ბურთი კიდევ ერთხელ დადმოვიდა იტალიელთა მხრიდან, მან ხმამაღლა და ომანხინად შეუძახა მეგობრებს:

— მშვიდად! სამი მიწოდებით! ერთი, ორი...

მესამე ჯერზე ბურთი მასთან უნდა დაშვებულყო. გოგამ მაგრად მოკლმა ყბები, ერთიანად დაიძაბა, რომ ბურთს მისწვდომოდა. ქანი აიღო. მთელი ძალით შეხტა და ცენტრში მდგარი ჩევენინის ფეხებთან ძლიერი დარტყმით გაგზავნა:

— ჰა, აიღე!

თვითონაც არ იცოდა, ვისადმი იყო მიმართული მისი შეძახილი — იტალიელისა თუ ჟაკლინისადმი. ჩევენინიმ მიღება ვერ მოასწრო და ბურთი იატაკს შეეხო. გეიმი! 19:17. ეს სარეკორდო ანგარიში იყო. დარბაზს თითქოს დაავიწყდა, ვინ ვის უჭერდა მხარს, ერთიანი გუგუნითა და ტაშით დააჯილდოვეს ორივე გუნდი.

შესვენების დროს გოგა იძულებული შეიქმნა უსიამოვნო გადაწყვეტილება მიეღო. გუნდში ორ მოთამაშეს, ყიფიანსა და წეროქმეს არ გამოსდიოდა ღღეს თამაში. მაგრამ რადგან მხოლოდ ერთი სათადარიგო მოთამაშე ჰყავდათ — გოგიჩაიშვილი, გოგას უნდა გადაეწყვიტა, ამ ორიდან რომელი შეეცვალა. ცხადია, ორი აზრი არ არსებობდა. ყიფიანის ნაცვლის მცველის გამოყვანა იმას ნიშნავდა, რომ ისევ მხოლოდ ორი თავდამსხმელის ამარა დარჩენილიყვნენ მოედანზე. არც იმაში იქნებოდა დარწმუნებული, გოგიჩაიშვილს გამოუვიდოდა თუ არა თამაში. მატჩი ძალზე საპასუხისმგებლო იყო, გოგიჩაიშვილი კი ჯერ გამოუცდელი, შეჯიბრებებზე გუნდთან ერთად მხოლოდ სამჯერ ითამაშა. ცუდად არ თამაშობდა, მაგრამ საოცრად სწორხაზოვნად და უკანა ხაზზეც მოიკოჭლებდა — ტექნიკა არ ჰყოფნიდა.

სხვა გზა არ ჰქონდა, ვასო უნდა შეეცვალა. როგორ ეთქვა? წეროქმე, ასაკით ყველაზე უფროსმა, გამოცდილმა სპორტსმენმა, მრავალი გამარჯვება და დამარცხება რომ ჰქონდა გადახდილი, თავად შეუმსუბუქა გოგას ტვირთი. სახე შეიმშრალა და თქვა:

— ბიჭებო, თავდასხმა გასაძლიერებელი. გოგიჩაიშვილი უნდა გამოვიყვანოთ.

— ჰო, მაგრამ ვინ გავა? — ფარული იმედით ჰკითხა გოგამ.

— მე გავალ! — ჯაიანი აუცილებლად უნდა დარჩეს, ღღეს თამაში გამოსდის. შენ ხომ მით უმეტეს.

ხანმოკლე, უხერხული ღუმელი ჩამოწვა.

— მეგონი, მართალი ხარ, ვასო, — გოგას ხმაში მადლიერება გამოსჭვიოდა. შემდეგ გოგიჩაიშვილს მიუბრუნდა და უთხრა: — გახურდი, ირაკლი, ითამაშებ!

ირაკლი ოდნავ გაფითრდა, თუმცა სქელი წარბების ქვევიდან თვალები სიხარულით იმზირებოდნენ.



— ჰო, ერთი მინდა გითხრათ, ბიჭებო, — განაგრძო წეროქმე: — აუცილებლად, ყოველ აბრტომანზე ბლოკი უნდა დაუყენოთ იმ... მესამე ნომერს. იმათ კაპიტანს. თორემ უკვე საკმაოდ შეთამაშდნენ.

— ეშმაკმა უწყის, როგორ უნდა ჩაეკეტო! — თქვა საკუთარი თავით უკმაყოფილო ყიფიანმა. — ვერაფრით ვერ ავყევი ტემპში.

— ეგ მე დამითმეთ! — ისე თქვა გოგამ, თითქოს უნდოდა დაემატებინა: „თავს წავაცლიო!“ — განლაგება შეეცვალათ.

განლაგების შეცვლა ბევრს სახიფათოდ ეჩვენა. ეს ეჭვი, ცხადია, სამართლიანი იყო, მაგრამ გოგა ვერა და ვერ სძლეოდა სურვილს. ეწადა, ბადის გაღმა მაინც შერკინებოდა ჩვევების და ამით ანგარიში გაესწორებინა.

— აბა, ნახავთ, თუ არ შეეცვამთ, — დაჭერებით და ისეთი ბოლმით თქვა გოგამ, წინააღმდეგობა აღარ გაუწყვიათ.

მსაჯის უკანასკნელმა სასტვენმა მოედანზე მიიწვია მოთამაშეები.

— ნუ აჩქარდებით, ბიჭებო. ჯერ თვითონ დადგენ, მერე ჩვევს შესაბამისად განვლაგდებით, — გააფრთხილა გოგამ. ჭაიანს მიუბრუნდა და დასძინა:

— აბა, შენ იცი, შენი სისწრაფის იმედი მექნება. თუ არ დაარტყა და ცრუ მოძრაობა გააკეთა, შენ უნდა აიღო ბურთი. ჩვენ კი, პირველ პოზიციასზე რომ გამოვა ბადესთან და დასარტყმელად გამოეჩვენება, ადგილებს შევცვლით. გამიბე? — მიმართა მან გოგინაიშვილს. — გადავინაცვლებთ. მე შენს ადგილს დავიჭერ, შენ ჩემსას.

გოგინაიშვილმა თავი დაუქნია, მაგრამ არც მაინცდამაინც დაარტყნებოდა. წეროქმე იძულებული შეიქნა ხელით ენიშნებინა, ვინ რომელ ადგილს დაიჭირდა და რატომ იყო საჭირო ადგილების შეცვლა.

იმისათვის, რომ არაფერი შეშლოდათ ადგილების შეცვლისას, ავტომატურობა-მდე დაყვანილი მოქმედების სინქრონულობა იყო საჭირო და სწორედ ეს არ ჰყოფნიდათ. ბადესთან ადგილების გაცვლა ვარჯიშებზე არ ჰქონდათ დამუშავებული. ეს იდეა აქვე, ამ წუთას წარმოიშვა აუცილებლობის გამო. ამიტომ თამაში ისევ თანაბარი უიარატესობით წარიმართა და ვახტანგ ლაბაძის წინა ხაზზე გასვლა-მაც ვერავითარი შეღავათი ვერ მისცა ქართველებს.

ამასთან იტალიელებმაც შემოიყვანეს ახალი მოთამაშე: მალალო, კარგად ჩაქუნთული მეთორმეტე ნომერი, ძალზე მალა რომ ხტებოდა და ბურთს უმალდესი წერტილიდან ურტყამდა. მის დარტყმას ვერ ჩაეკეტავდი. მართალია, ორჯერ ჭაიანმა და ერთხელ გოგამ შეძლეს არაპარტო მიეღოთ მისი დარტყმული ბურთი, არამედ რიგიანადაც გადაეწოდებინათ, შემდეგ არც ვახტანგ ლაბაძეს შეურაცხვენია თავი. მაგრამ იტალიელებთან უკანა ხაზზე მაინეტი ახდენდა საოცრებებს, როგორც ფრენბურთელები ამბობენ, ყველაზე მეკდარ ბურთებს ქაჩავდა და იტალიელებმა ორი ქულით გაუსწრეს კიდევ.

თამაშის გარდამტეხი მომენტი მაშინ დადგა, როცა ჩვევინი, ერთის მხრივ, გოგა კი მეორე მხრივ, ბადესთან პირისპირ აღმოჩნდნენ. გოგინაიშვილი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან და შეუცდომლად ამოქმედდა. პირველი პოზიციიდან ჩვევინიმ მხოლოდ ერთი ქულის მოგება მოახერხა. შემდეგ გოგამ ზედინედ რამდენჯერმე ბრწყინვა-

ლედ ჩაეკეტა დარტყმა და წმინდა გიორგის გუნდმა ანგარიში გაათანაბრა.

ჩვევინიმ აღარ იცოდა რა ექნა. ალბათ აჯობებდა ტაიმ-აუტი აელო. ოღონდ დაესვენათ, დამშვიდებულიყვენ, ფხიზლად შეეფასებინათ შექმნილი ვითარება, პირდაპირი დარტყმებისთვის თავი აერიდებინათ და ცრუ მოძრაობებზე გადასულიყვენ. იგი აღიარებულ საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა, პირველობას იყო მიჩვეული. ვერც წარმოედგინა, ვინმე თუ შეეცილებოდა და გამწარებული განაგრძობდა თამაშს. მთელი ძალით ურტყამდა ბურთს და ეს დარტყმები ქართველთა სასარგებლო აღმოჩნდა: კარგად ჩაეკეტათ ბურთი ერთთავად მის ზურგს უკან ეცემოდა და თვითონ ბრწყინვალე, კატასავით მოქნილ მაინეტისაც არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. თან ეს წყველი ქართველი ყოველი ბურთის ჩავადების შემდეგ თავხედურად უღიმოდა და გაბრაზებულმა ჩვევინიმ აღარ იცოდა, რა ექნა.

აივანი ჩაჩუმდა. მხოლოდ იმ ადგილიდანლა გაისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები, სადაც ვლადიკი, სიკო და რამდენიმე ქართველი იჯდა. არც ჭაიანის მეგობრები ცხრებოდნენ. ამ ახალგაზრდებს ის კი არ ახარებდათ, ქართველები რომ იმარჯვებდნენ, მათ შორის ალბათ არც მოიძებნებოდა აღამიანი, ვისაც ეცოდინებოდა, ვინ იყვნენ ეს ქართველები, ან სად იყო საქართველო. მათ იტალიელთა გაწბილება და მატჩის ასეთი უეცარი შემობრუნება მოსწონდათ. ფრენბურთშიც საკმაოდ ცუდად ერკვეოდნენ, ეგონათ თამაშში შემტევი, ძლიერი დარტყმები იყო გადაამწყვტები. აქ კი ბლოკი და დაცვა იმარჯვებდა შეტევასზე. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ. ყველაფერი უჩვეულო კი ყოველთვის ყურადღებას იზიდავს, ყოველ მოულოდნელობას გულისყურით ხვდებიან ხოლმე. ხოლო სადაც გულისყურია, იქ თანაგრძობაც მალე ჩნდება.

რამდენიმე მნიშვნელოვანი დარტყმის შემდეგ, თამაში ისევ გაათანაბრდა: იტალიელები თანდათან დამშვიდდნენ და ოღონდ შეცვალეს ტაქტიკა. ჩვევინის ნაცვლად ახლა ის მოთამაშე ურტყამდა, მის უკან რომ იდგა, არცთუ ძლიერად, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად გზავნიდა ბურთს ქართველთა მოედანზე ცუდად დაეცულ წერტილებში. ხოლო, როცა შუა ხაზზე მეთორმეტე ნომერი გამოვიდა, იტალიელებმა ანგარიში გაათანაბრეს: 19:19.

დარბაზი ახმაურდა. ისევ დაიწყო ნერვიული თამაში. ხან ერთი, ხან მეორე გუნდის ბედი ბეჭვზე ეკიდა. ახლა მხოლოდ ის გაიმარჯვებდა, ვისაც მერე ბრძოლის ქინი გააჩნდა. მატჩის ბოლოსთვის ყიფიანიც ათამაშდა. მისი ბრწყინვალე დარტყმების წყალობით ქართველთა გუნდი წინ გაიჭრა—20:19. შემდეგ ორივე გუნდმა მოახერხა მოწოდების მოგება და ბოლოს, იმავე ანგარიშით პირველ პოზიციასზე, ბადესთან ვახტანგ ლაბაძე გვიდა, ბურთი თამაშში გოგას შეჰყავდა. ეს იყო ქართველთა გუნდის საუკეთესო წყობა და თან მატჩ-ბოლო.

ანაზღად გოგამ იგრძნო, რომ ძალა გამოეღია — მორალურიცა და ფიზიკურიც. იცოდა, ახლა ისე უნდა მიეწოდებინა ბურთი, როგორც ეხერხებოდა: ათი სანტიმეტრის სიზუსტით, რომელიმე ცუდად დაეცულ წერტილში. მან ბურთი აიღო და მოწოდების ადგილისკენ გაეშურა, ფეხებს ძლივს მიათრევდა, მუხლები ეკეცებოდა.

დარბაზში თითქოს ჩამობნელდა კიდევ. მან მალა აიხვდა და მთელი თამაშის განმავლობაში პირველად დაინახა სავარჯიშო რგოლები, რომლებიც ჰერსკენ გეკეცათ, რომ ფრენბურთელებს ახსენებდა. ბოლო არ შეეშალა. ბაწარი წრფულად ექნა ბოდა ჰერიდან, ისე მალა აეჩაჩათ, არც ერთხელ ბურთი არ შეხებია.

ეს წყველი ბაწარი მაგნიტით იზიდავდა მის მხერას. ბურთს თუ მოარტყამდა — მოწოდებას დაკარგავდნენ. ოღონდ ბურთი არ მოარტყას! მეტზე აღარაფერზე ოცნებობდა გოგა. ვახვებული, მოძიზარული ხელებით მოიქნია ბურთი და ზუსტად იმ ბაწარს მოახვედრა. ვახტანგ ლაბაძე ალბათ მიუხვდა, რას განიცდიდა ახლა გოგა და იმავე წამს ტაიმ-აუტი აიღო.

— არა უშავს, გოგა, ხდება ხოლმე! — ეუბნებოდა და მხარზე ხელით ეხებოდა მეგობარს. — დღეს ღმერთით თამაშობ! ცოტაც დაგვრჩა! ახლა მოწოდებას წავართმევთ, გეუბნები, წავართმევთ!

— თავს უნდა მოერიო, ჯორჯ, ვიგებთ, — მისთვის უფრო ჩვეულ ინგლისურზე გადავიდა ჭაიანი და გამამხნეველად გაუღიმა.

გოგამ თვალები დახუჭა და რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა. ასეთი რა მოხდა? არაფერი უჩვეულო: მოწოდება გააფუჭა, მაგრამ ანგარიში ხომ არ შეცვლილა, 20:19 დარჩა ქართველთა გუნდის სასარგებლოდ. ჩემი მეგობრები ჩემს გვერდით არიან და მე ისევ მათი კაპიტანი ვარ. მე უნდა მივცე ყველას მაგალითი. ვახტანგი მართალია, დღეს საკმაოდ კარგად ვითამაშე კიდევ რამდენიმე წუთი, უკანასკნელი წამონთება და, გავიმარჯვებთ...

თვალი გაახილა და უნებლიედ გაღიმა. თანამემამულეები შიგ თვალებში უცქერდნენ... მისი თანამემამულეები, ქართველები.

და არ იყო ამქვეყნად ისეთი მსხვერპლი, რომელსაც გოგა არ გაიღებდა მათთვის. არც ისეთი ძალა არსებობდა, რომლის წინაშეც შედრკებოდა. ალბათ მოგადრო და, მხოლოდ ამ ხუთი აღამიანის წინაშე კი არა, ყველა თავისი თანამემამულის წინაშე წარდგება. ის ხომ ახლა ამ ქართველების სადიდებლად იბრძვის...

და როგორც კი ამას მიხვდა, მაშინვე იგრძნო, როგორ დაუბრუნდა ძალა ხელ-ახლა — მორალურიც, ფიზიკურიც, და უფრო გულლიად, თავისუფლად გაილიმაკვლავ კაპიტნად იგრძნო თავი, რომელსაც დღევანდელ გამოცდაში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ენიჭებოდა. წამიერი სისუსტისაგან ერთიანად განთავისუფლებულმა გოგამ, კვლავ ძველებური, დაჭერებული და ოღონდ მბრძანებლური კილოთი დაიწყო:

— ახლა ყველაზე მთავარია, წესიერად მივიღოთ მოწოდებული ბურთი. პირველი პასი რევაზს, ვახტანგმა კი თავისი საქმე იცის.

უფროსი ლაბაძე თავს იქნევდა და თავის მსხვილ-მსხვილ, ოღონდ წინ წამოწეულ კბილებს აჩენდა, კმაყოფილი იმით, რომ გუნდი აფასებდა მას და, რომ გოგამ სძლია თავის თავს.

წუთშესვენება დასრულდა, მოთამაშეები ადგილებზე დაბრუნდნენ.

...და აი ჭაიანმა აუღელვებლად მიიღო მოწოდებული ბურთი, დაამუშავა და უმცროს ლაბაძეს გადააწოდა. იმანაც კარგად აუწვია ძმას და, როგორც კი დაინახა

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ორი იტალიელი ბურთს უკეტავდა, ვახტანგმა მთელი ძალით დაარტყა და ბურთი იტალიელთა ხელიდან აუტყმო გააგზავნა. მოწოდება მოიგეს.

უკვე ყიფიანი აწოდებდა ბურთს. მეზღვაურებმა მიიღეს ბურთი. იმათაც აკურატულად სამი პასით ვაითამაშეს და დამასრულებელი დარტყმისათვის თავიანთი მეთორმეტე ნომერი მოამზადეს. შუა ხაზზე, ცენტრში მდგარი გოგა ერთიანად დაიძაბა, თითქოს კარში იდგა და თერთმეტმეტრიანს ურტყამდნენ. უკანასკნელ წამს დარტყმისათვის გამოქანებული მეთორმეტე ნომრის მხერა დაიჭირა. იქით, მარჯვნივ დაარტყამს! — გაუელვა თავში.

იტალიელმა ძლიერად, ზუსტად დაარტყა, მაგრამ გოგამ მაინეტის შესაფერისი ნახტომით მოიგვრია ბურთი. დარბაზმა ამოიგმინა. ბურთი ბზრივლით აიჭრა მალა და ვახტანგ ლაბაძის ზონაში დაიწყო დაშვება. მარცხნივ ეშვებოდა, ვახტანგს გაუჭირდებოდა დარტყმა. გამოცდილმა ფრენბურთელმა იგრძნო, რომ ის წუთი დადგა, როცა რისკის გარეშე ვერაფერს განდებოდა. საკმაოდ ძლიერმა ირიბმა დარტყმამ დააბნია იტალიელები და ბურთი მიწას დაასკდა.

— ღმერთო, გავიმარჯვეთ, ვმადლობ, უფულო! — იატაკიდან აუღდგომლად ჩაიჩურჩულა გოგამ. მერე წამოდგა და პირჯვარი გადაიწერა. ხედავდა, ყიფიანი და გოგაჩაიშვილი ვახტანგს ეხვეოდნენ. თვითონ ადგილიდან ვერ იძვროდა. ძმები ლაბაძეები და ჯაიანი მიიჭრნენ მასთან. ეხვეოდნენ და მხარზე უტყაბუნებდნენ ხელს. გოგამ იგრძნო, რომ იატაკს მოსცილიდა. „რა ხდება? ვეცემი?“ — მოასწრო შეკითხვოდა საკუთარ თავს და მხოლოდ პაერში აფრენილი მიხვდა, რომ ბიჭები აბურთავებდნენ. საიდანაც ვლადიკი და სიკოც გაჩნდნენ და გოგა გოცდა, ასე უცებ როგორ მოასწრეს დაბლა ჩამოსვლა?

ბოლოს და ბოლოს, გოგა იატაკზე დასვეს: ჯერ კიდევ ვერ ძრავდა ენას და გულამომჯდარი შესცქეროდა მეგობრებს. ოლონდ არ ატირდეს, ღმერთო, ოლონდ ცრემლი არ გადმოუარდეს თვალებიდან... და უცებ ჯაიანის ხმამ გამოაფხიზლა:

— ძალიან კარგად ითამაშე ჯორჯ. დიდებული იყავი!

— არჩილ, ბიჭო, გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო! — შეეხმინა გონზე მოსული გოგა. ისევ გაახსენდა, რომ კაპიტანი იყო და ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო მატჩი. მიმოიხედა. თავისი ანძიდან ამერიკელი მსაჯი ჩამოდიოდა და გალიმებული შესცქეროდა ქართველებს.

გოგამ ღიმილითვე უპასუხა, მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა მსაჯობისათვის. შემდეგ იტალიელთა კაპიტანი მოიძია თვალით, მისთვის უნდოდა ხელი ჩამოერთმია და მადლობა გადაეხადა პატიოსანი ბრძოლისათვის. ლეიტენანტი ჩევენინი კი აღარსად ჩანდა, გოგასათვის აღარ დაეცა და გასანდელში გასულიყო. მაშინ გოგა გასასვლელისკენ მიმავალ მაინეტის დაეწია, ხელი გაუწოდა. მან საპასუხოდ მეგობრულად მოხვია ხელი და ასე, ხელგადახვეულები, გვერდიგვერდ გაემართნენ.

...მადლიდან გოგას ფერხით თეთრი მიხაკი დაეცა. გოგა მიხვდა, ვინც ესროლა მიხაკი, მაგრამ ზევით არ აუხედია. ყვავილს ფეხი გაკრა, კიდევ ერთხელ მხრებზე შემოკრა ხელი მაინეტის და თანაგუნდელებს შეუერთდა.

თარგმან მზია გელაშვილია.

# საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარებისათვის



**ს**ენტრალურ პრესაში გამოკრთა ცნობა — საერთაშორისო აეროპორტ შერეშეტიევი-2-ს მანამდე არასოდეს ღირსებიაო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ასეთი შემოსევა. მეორედ მოსვლას წააგავდა ოლიმპური სპორტკომპლექსისკენ მისასვლელი კვარტალებიც დედაქალაქის მშვიდობის პროსპექტზე. ასობით მილიციელი, ურიცხვი წესრიგის დამცველი სარტყელ-სარტყელ, სექტორ-სექტორ „აშოშინებდა“, წვილ-წვილ ჯგუფებად ანაწევრებდა ზღვა მომსვლელს. ხალხის მღელვარე სიმრავლე გარეთ-შიგნით მოუთმენელ სიშვიდროვად გარდაიქმნებოდა... აზვირთებულმა ნაკადმა ჩემს რეპორტორულ ადგილზე შემავლო... რა ვიცი იმ კაცზე, ამდენი თაყვანისმცემელი რომ მოუზიდავს?

ჩემი პაწია, სამი წლის დისშვილის ცრემლნარევი ჭირვეულობა თბილისში: „ჩე-ლენ-ტა-ნო მინ-და-აააა!“ — და სრული ხმით აგრიანებული ელექტროფონული მოწყობილობა არღვევს „ოჯახურ სიმყუდროვეს“ და, თითქოს, მელანქოლიური, მაგრამ საოცრად ხვეწილოვანი და შეუპოვარი კონკრეტულობით დამუხტული ვოკალი გიმორჩილებს.

მინახავს არაერთი ფილმი მისი მონაწილეობით — ექსცენტრული, შთამბეჭდავი, ირონიული, კომიკური, დრამატული როლებით... მისი ფაქტურა მახიობის უსაზღვრო ნიჭიერებასთან ერთად მამაკაცური ფიზიკური სიძლიერის აშკარა ენერჯის ასხივებს. ყოველთვის პატივს ვცემდი ამგვარი ენერჯის გამონაშუქს, როცა მას არაჩვეულებრივად ლოგიკური სიკეთე და მიაზიტობა მოჰყვება. დიდი პირი, მსხვილ-მსხვილი კბილები, ფართო დაღარულ შუბლზე გადაწეული-გადმოწეული თმა, შეკრულ-გადახსნილი წარბები და ოდნავ გადმოშვებული ქვედა ტუჩი გულახდილობის პლაცდარმს გიქმნის. გრძელი, ცოცხალი, ღონიერი იტალიური ხელებაც კარგ პარტიორად დაგიდგებიან საუბარში... ვიწრო წელი და მკერდგამოწევილი სილუეტი მოძრაობისას ცხოვრებისეული მართონის მომგები აწარტული ხელოვანის რწმენას მიგანიშნებს. ზომაზე მეტად ორიგინალური, ხაზს უსვამს ზოგიერთი ჩემი კოლეგა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარ ორიგინალობას ხაზს სწორედ ისეთები უსვამენ, სტერეოტიპულ შთაბეჭდილებებს თავად ზომაზე მეტად რომ ემორჩილებიან ხოლმე. ჩელენტანო არავის დამხვავსებია. სრულიად დამოუკიდებელი, უკლასიკან განხვავებული პიროვნული სახეა სცენაზეც, ეკრანზეც, ცხოვრებაშიც.

...1938 წლის 6 იანვარს ერთ-ერთ მილანურ ქუჩაზე, რომელიც დიდი გერმანელი კომპოზიტორის, კრისტოფ გლოუკის სახელს ატარებს, ჯულიტო უუკოს და ლეონტინო ჩელენტანოს ოჯახში დაიბადა აღრიანო.



1957 წელს აღრიანო ჩელენტანომ შოკში ჩაგდო მილანის უნივერსიტეტის ხასხასეში თავმოყრილი საზოგადოება „ფეთქებადსაშიში“ როკ-ნ-როლებით, უმალ მოიხვეჭა სახელი და „ნოკაუტში გაგზავნა“ თავისი უახლოესი კონკურენტები — ტონი დალარი და ლითლ ტონი. და თუმცა, კრიტიკოსთა აზრით, ჩელენტანოს ეს აღრეული პერიოდი დიდად როდი განსხვავდებოდა მისი კოლეგების, ანუ, უფრო ზუსტად, ინგლისურ-ამერიკული მუსიკალური ბაზრის მეტოქეთა ნამუშევრებისგან, აღრიანომ მაინც მაქსიმუმში გააკეთა, რათა უკვე 80-იანი წლების დამლევისათვის იტალიელი „კანცონე“ ნაკლებ მომსუყებულად და გულიანამაჩუყებლად მიგვეღო. ვერავინ დამარწმუნებს, საკუთრივ, თვით ჩელენტანოს აღრიანობაც კი, რომ აღრიანომ პირველად დათრგუნა შიში თვითმფრინავით მოსკოვისკენ მოგზაურობისას და, თანაც, ადამიანების ამხელა თავყრილობის წინაშე გამოსვლის გაუბედაობაც დაამარცხა! სრულ აბსურდად მესახება ყოველივე. ეს ავანტიურისტული „კოკი“ უურნალობს, ალბათ, სპეციალური განზრახვით პუბლიცისათვის „გაუგორა“ ჩვენმა სტუმარმა, თორემ რა ეშმაკი ჩაუენერგავდა ასეთნაირ შიშს ხელოვანს, ექვსი წლის მანძილზე რომ იღებდა ფილმ „ჯონ ლუის“ ქრისტეს ხელმეორედ მოვლენაზე უკვე ჩვენს სინამდვილეში და განა სუსტი კაცი კი იკისრებდა ამ ფილმის მოსკოვური პრემიერის შემდეგ ასე უცბად, ეგრევე, ორი პრინციპულად საეტაპო კონცერტის გამართვას ამხელა აუდიტორიის წინაშე მშობლიური იტალიიდან ასეთი დაშორებით, მანამდე მთელი რვა წლის მანძილზე არც ერთი ოფიციალური კონცერტი რომ არ გაუმართავს!

— მე ვთვლი, რომ ამჟამად, როგორც არახდროს, აქტუალურია ლაპარაკი მთელი კაცობრიობის დარწმუნებაზე და მისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე მსოფლიო კატასტროფის წინაშე... მე ჩამოვიტანე ჩემი ახალი ფილმი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს შფოთიან ხანაში ნებისმიერი ადამიანი პასუხს აგებს მომავალზე. მე მოვიხველიე ქრისტეს სახე, დედამიწაზე რომ ჩამოღის უკვე მეორედ საშინელი კატასტროფის წინ, — გვიამბობს ფილმის დამდგმელი. — ეს კატასტროფა კი მოხდება ადამიანური გულგრილობის წყალობით. აი, სწორედ აღნიშნული გულგრილობაა ის ბორცობა, რის წინააღმდეგაც უნდა გავილაშქროთ ყველამ, ერთსულოვნად, ჩვენ-ჩვენი ხელოვნებით. ეს სწორედ მოველოდ დაღეს მთელი მსოფლიოს ხალხებს უკლებლივ და მისგან გასკვრნება მხოლოდ საერთო ძალით თუ შეგვიძლია, კიდევ! აუცილებელია, რაც შეიძლება ხშირად მივუგდოთ ყური ბუნების რჩევას. ცათამბეჭებები — არანორმალურად მიმჩნია. უცხო რამ არის კაცობრიობისათვის. ჩვენს ირგვლივ დღითიდღე სულ უფრო მცირდება სიცოცხლე და ეს ზესაშიში პროცესი გახლავთ! ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ვარსკვლავები, ბალახი, ცხოველები... ვცინებო, დაველაპარაკო მილიონობით ადამიანს და ვუთხრა, რომ მხოლოდ სიყვარულს ყოველი ცოცხლისადმი შეუძლია მათი შეკავშირება და გადარჩენა. დიას, ჩვენ საამისოდ უფრო ახლოს უნდა ვიყოთ ბუნებასთან, უნდა ვისწავლოთ მისგან, უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ მას. ჩემი საქმიანობის ძალით მივიღე საოცარი საშუალება, გამოვხატო ის, რაც მწამს — დიდი, უზომო, უსაზღვრო სიყვარული. მხოლოდ სიყვარული!

\*\*\*

ხედავთ, როგორი ჩელენტანო გავიცანით!

ჩვენ მივეჩვიეთ მის კომედიურ სახეცვლილებებს ეკრანზე და ინტიმურ-ხრინწიან სიმღერებს გრამფანაწერებით, მაგრამ განა ვიცოდით, რომ სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ასეთ ფილოსოფიურ თემატიკაშიც იწვოდეს? არაა, თურმე (ჩვენთვის — ერთი შეხედვით) თავისი ოინბაზური გამოცვლებით ერთობ სერიოზულ თემებზე ულაპარაკია ყოველთვის. ძველი ამბავი ყოფილა და არც უნდა გაგვეკვირვებოდა, რომ ეს თემები ძალიან ხშირად საკმაოდ მხიარულადაც უღერდნენ. ახლა კი, აგერ მის გრანდიოზულ კონცერტს ვესწრებით და მომღერლის ავტორიტეტის კიდევ ერთ განმსაზღვრელად გვესახება ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვედლიხოვი თავისი სურვილით აღის სახეტრადო ფიცარნაგზე, ამხელა საზოგადოების წინაშე სამახსოვროდ გადასცემს ოქროსფრად მოვლვარე სამოვარს და ახასიათებს მას საჭაროდ, როგორც გამოჩენილ მომღერალს, მსახიობს, და ზოგადსაკაცობრიო პრობლემით შეპყრობილ ნამდვილად დიდ საზოგადო მოღვაწეს.

საკუთარ ნატურას კი უკლებლივ წარმოგვიდგენს თავად აღრიანო — გონებაშეხილული ნიუანსებით, ათიათასობით მსმენელთან ბუნებრივი შერწყმის დაუოკებელი წყურვილით, ფეთქებადი ენერჯით, გულშიჩაქვდომი სინამდვილით, მძაფრი ჯაჭური ვარაიციებით, თვალწარმოქმნილი ხაობის ქეშმარიტი ლიდერობით, საუკეთესო მუსიკოსთა, სოლისტ-ინსტრუმენტალისტთა პარტნიორობითა და ერთსულოვნებით, თანამემამულეთა ვოკალური ჯგუფის თანხლებით, ილუმინაციისა და რიტმ-ჯგუფის სინქრონის ზღაპრული მოდერნიზაციით, კლასიკური მელანქოლიური ტანგოს და გოპური როკ-ნ-როლის ურთიერთგარირებით, გაოფლილი შუბლითა და მკერდზე მოქანავე ჯვრით, ულაშაზესი ქალებითა და ათასფერი მუსიკალური აქორდებით გარსემომორტყმული... მღელვარე პლასტიკითა და დაღვეილი უესტიუალაციით, ფორმისა და შინაარსის იგავმიუწვდომელი დონით, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი მისეული ნამღერის მაღალ-მაღალი რეგისტრებით და შმაგი სიცილ-ხარხარის დაბალ-დაბალი ტონებით.

აუოტაუური ზვირთცემით შეპყრობილი ხალხით გადაქედილი ტრიბუნები, თავანისმცემელთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ოღონდ საკმაოდ გრძელ-გრძელი ნაკადების გაშვება დაცვისა და ყარაულის პოსტებიდან იქითკენ. მისკენ! — უამრავი ყვავილითა და საჩუქრით. პარტერისა და ამფითეატრების მქუხარე, დაუსრულელებელი ოვაციები, მოუთმენელ ქალ-ვაჟთა უსისტემო ავარდნები სცენაზე და მილიციის მუშაკების მიერ მათი გაყვანა. ჩელენტანოს ღიმილი და მიშვერილი კინო-ფოტო-მაგნიტომოწყობილობათა უჩვეულო სიმრავლენეტა, ყველაფერს უკლებლივ თუ ჩაიწერენ და გადაიღებენ და შემდეგ კიდევ ერთხელ გვაზიარებენ დღევანდელ მუსიკალურ დღესასწაულს? „ნედელიას“ რედაქციაში მითხრეს, დემის რუსოსი და მირეი მატეიც ხომ იყვნენ მოსკოვში, მაგრამ ჩელენტანოს სტუმრობა მაინც გაცილებით მაღლა დადგაო.

...უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში აცხადებენ, რომ სტუმარს მიესალმება ჭუნა დავითაშვილი... პირდაპირ ასე გამოაცხადეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩვენი თბილისელი თანამოქალაქე, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები და მოღვაწე სახალხო მკურნალი, ბიოენერჯით შვებას რომ ანიჭებს ათასობით სნეულ ადამიანს. ვხედავ, ტყავის მუქ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი მოხდენილი შვეგერმანი ქალი მკვირცხლად როგორ აღის ფიცარნაგზე და ჩელენტანოს გადასცემს საკმაოდ დიდი მოცულობის ჩარჩოიან ფერწერულ ნახატს... გარკვევით ვარჩევ ჩელენტანოს სახეს მომწვანო-მოლოურჯო ფონზე. სიმპათიური ქული ახურავს. სერიოზულად იმზირება. საკმაოდ დახვეწილი პორტრეტული ნამუშევარია. ჩელენტანო კოცნის ჭუნას. მერე მიღის მიკროფონთან და გვეუბნება, რომ გულწრფელად მადლობელია ასეთი საჩუქრისათვის... განსაკუთრებით ერთმა დეტალმა მიიპყრო, თურმე, მისი ყურადღება ამ მხატვრულ ნაწარმოებში — აი ნახეთო, და თან თითით მიგვანიშნებს, — აი აქ, საშაროს უკიდვანო ფონზე ერთი ვარსკვლავი კაფობს, რომელიც ძალიან კარგად ვიცი, რასაც ნიშნავსო ჩემთვის, ჩვენთვის, ყველასთვის! ამ ვარსკვლავის სხივის ნათელით უნდა ვადილოთ და გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს და სიყვარულს!


ჩვენი უურნალის მკითხველს, ალბათ, უკვე შეექმნა ჩვენიული შტრიხებით დახატული ჩელენტანოს პორტრეტის შთაბეჭდილება. სათქმელი ითქვა, სიმღერა იმღერეს, ოვაციებმაც გადაიქუნა! გვიანტერესებს, კი მაგრამ, მაინც რა პროფესიის კაცია. მომღერლობა და მსახიობობა ხომ თავისთავად ერთ შერწყმულ, ინდივიდუალურ ფაქტორად მიაჩნია. მაგრამ ჰქონია, თურმე თავისი პირველი, სრულიად განსხვავებული შრომითი საწყისიც.

— ბავშვობიდან დავუფლევ მესაათის ხელობას... ძალიან მწყდება გული, რომ თან არ წამოვიღე საჭირო ხელსაწყობი, თორემ აუცილებლად შევუძენებდი ვინმეს მოწილი საათს.


აღრიანო ჩელენტანოს პიროვნული მოწოდება თავისი ხელოვნებით აიყოლიოს ადამიანები სიცოცხლის ხალისიანი, შთაგონებული სრბოლის დასაცავად და შესანარჩუნებლად!

**ვასილ მველიოვილი.**

„დროუნი“ სპეციალური კორესპონდენტი (მოსკოვი).







ძველ ბოლშევიკს გიორგი მირიანაშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. იგი დღესაც მხნედ გამოიყურება და სიამაყით იხსენებს იმ მძიმე, მაგრამ გმირულ პერიოდს, როცა საფუძველი ეყრებოდა ახალ ცხოვრებას. რევოლუციის იდეებსა და პრაქტიკულ საქმიანობას უკვე ნაზიარები იყო ოცი წლის ჰაბუკი, დიდმა ოქტომბერმა რომ გაიმარჯვა. და აი, ამ გრანდიოზული ისტორიული მოვლენის 70-ე წლისთავს თითქმის ამდენივე წლის პარტიულობის სტატიით ეგებება სახალხო საქმისათვის თავდადებული და ამაგდარი 90 წლის კაცი.

საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერს გიორგი მირიანაშვილს გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 90-ე წლის თავს და ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს მისი მოგონებებიდან.

# რევოლუციის ჯანრისკაზვი

## გიორგი მირიანაშვილი



უსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ თბილისში მომისწრო. პარტიული დავალებით მეც მივაშურე ნაცნობ სოფლებს საავიტაციოდ, თუმცა სააძისოდ ჯერ კიდევ არ ვიყავ სათანადოდ მომზადებული და გაწაფული. მუშაობა კი ძნელი იყო, რადგან ძალაუფლება ხელთ ეპყრათ მენშევიკებს. ძალზე გვიჭირდა თავის დაცვა და ძალების შენარჩუნება. აღექსანდრეს ბაღში რამდენიმე ათეული ამხანაგი მოვეიკლეს და დავვიჭრეს. პირველი მაისის დემონსტრაციაზე კატო მიქაძე, ვანო მურდალაშვილი და სხვები სასტიკად სცემეს, წითელი დროშები ფეხებით გავვითელეს და ბევრი ჩვენი ამხანაგი ციხეებში დაამწყვდიეს.

საჭირო გახდა კონსპირაციულ მუშაობაზე გადასვლა. ასეთ პირობებში მომიხდა პირადად მე 1918 წელს სიღნაღის მაზრის 15 ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის შემოვლა, აღრიცხვა და კრებების ჩატარება (ლაგოდენი, სიღნაღი, ნუკრია-ნი, ვაჭირი, ანავა, ველისციხე, კარდენახი და ა. შ.). ამ დროისათვის მაზრაში 200-მდე ბოლშევიკი ითვლებოდა.

ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ ერთ ამბავს. სოფელ კარდენახში კრება გვიან ღამით დავამთავრეთ. ელიოზ ნონეშვილმა ათი ამხანაგი შინ მიგვიპატიჟა და მიუხედავად იმისა, რომ ღარიბულად ცხოვრობდა, მაინც გავვიმასპინძლა.

არაჩვეულებრივად განარებულ-გაგულადებულმა ელიოზმა თამადაობა თვითონ იკისრა და მარად სამახსოვრო დრო გავატარებინა.

ამ დღეს განსაკუთრებით ის აღამაზებდა, რომ ოჯახში იყო ახალდაბადებული იოსებ ნონეშვილი (შემდგომში სახელოვანი პოეტი), რომელიც თავის დედასთან — მარიამთან ერთად დიდი სიყვარულით ვადღევრძელეთ.

დადგა 1919 წლის ოქტომბერი. ახლოვდებოდა სააჯანყებოდ ნავარაუდები დღეები. ვიარაღდებოდით, თანდათანობით გავდიოდით სოფლებიდან, ვიკრიბებოდით მახლობელ ტყიან ადგილებში და ვემშავდებოდით მოახლოებული თავგანწირული ბრძოლებისათვის.

სრულიად მოულოდნელად საჭირო გახდა ჩემი წასვლა ლაგოდენში იმ ანგარიშით, რომ იმავე საღამოს ანავაში დავბრუნდებოდი. სადაც გაფართოებული თათბირი გვქონდა დანიშნული სააჯანყებო გეგმის განსახილველად.

დროულად დავბრუნდი და თათბირზე წასვლამდე დალილიმა და მშვიერმა სახლს მივაშურე.

დედს საჭმელი მოვთხოვე და მოსხლეთით დავეშვი სკამზე. ვიდრე სადილობას შევუდგებოდი, ჯერ ფანჯარასთან მივედი და ჩვენი სახლისაკენ გაშლით მომავალი რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევნიშნე. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. დედა გავაფრ-

თხილე, კარებთან მიმდგარიყო და გაასუხებოდა მომხდურებს. თვითონ კი მაუზერმომარჯვებული სწრაფად გავვარდი სახლის უკანა მხარეს. ერთთორჯერ გაისროლეს კიდეცაც, უფრო შესაშინებლად. უაღრესმა გასაჭირმა გაქცევა მასწავლა და მოსალოდნელ ხიფათს გადამარჩინა...

თბილისში ჩამოსულმა გულისტკივილით შევიტყვე, რომ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოლაღატის მეშვეობით მიუქვლივით და ბევრი წევრი დაუპატიმრებიათ

დიდი ვაჭირებით მოვძებნე ცენტრალური კომიტეტის გადარჩენილი წევრი დ. რუხაძე და იმავე დღეს სასწრაფოდ დავბრუნდი სიღნაღში სააჯანყებო სამზადისისა და გამოსვლების გადადების შესატყობინებლად.

1920 წლის მაისის პირველ რიცხვებში სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის. ბოლშევიკები (მათ შორის უკანასკნელად დაპატიმრებული მოსე ვარამაშვილიც) გაათავისუფლეს და მათ ლეგალური მუშაობის უფლება მიეცათ.

მუშაობა გამოცხადდა სიღნაღშიც. 1920 წლის 3 ივნისს თბილისში გამოსვლა იწყო ბოლშევიკურმა გაზეთმა „კომუნისტმა“, რომელშიც ზოგჯერ მეც ვთანამშრომლობდი.

ამავე დროს მოვამზადეთ და ჩავატარეთ პირველი და უკანასკნელი ლეგალური სამაზრო კონფერენცია. აქვე ჩატარდა ბოლო პლენუმიც, რომელსაც ცენტრალური კომიტეტიდან მოსე ვარამაშვილი ესწრებოდა. მან გავგიკეთა მოკლე ინფორმაცია შექმნილ მდგომარეობასა და ჩვენს ამოცანებზე. ამ პლენუმზე გადაწყდა, არსებული პრეზიდენტის ნაცვლად შექმნილიყო მცირე პრეზიდენტი სამი კაცის შემადგენლობით, რომელშიც ვანო ბაბალაშვილიდან და ნიკო აირაპეტოვთან ერთად მეც ამირჩიეს.

დიდხანს არ ვაგრძელებულა ბოლშევიკების ლეგალური საქმიანობა — მალე მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება დაარღვიეს. ისევ გაჩაღდა დევნა, რბევა, პატიმრობა, რედაქციებისა და ბიუროების დახურვა. მრავალ სხვა ამხანაგთან ერთად 1920 წელს ზაფხულში მეც დამაპატიმრეს და ჩამსვეს თბილისის „მეტეხის“ ციხეში, სადაც დამხვდნენ ბოლშევიკური პარტიის აქტიური წევრები მალაქია ტოროშელიძე, სანდრო თუმანივი, რაქდენ კალაძე, პავლე მარდალაშვილი, ვანო მურდალაშვილი, იოსებ შენგელია, ბაგრატ მაჩაიძე, ალ. ჭანკიევი, სიმონ ჭუფარაშვილი, ძმები ბალიაშვილები და სხვები.

მალე ჭუთათისის საკატორლო ციხეში გადამიყვანეს. აქ კი მომისწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.



აპოთა კავშირში ერთ-ერთი წამყვანი სცენარისტი რუსთაველის თეატრი. უკვე მრავალი წელია ამ თეატრს ხელმძღვანელობს საშუალო თაობის გამოჩენილი რეჟისორი რობერტ სტურუა.

რუსთაველის თეატრი...

ეს სახელი კარგადაა ცნობილი პოლონელი მკვლევარებისთვისაც. რუსთაველები არც ისე დიდი ხნის წინ, 1983 წელს, იყვნენ ჩვენთან სტუმრად, როცა ვარშავაში III საერთაშორისო თეატრალური შეხვედრები მიმდინარეობდა. მათ რუსთაველის თეატრმა თავისი მსოფლიოში უკვე გახმაურებული ორი სპექტაკლი ბერტოლდ ბრენტის — „კავკასიური ცარცის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ III“ წარმოადგინა.

ამ წლის სეზონში მოხდა მნიშვნელოვანი რამ: დამთავრდა თეატრის შენობის რემონტი. დაახლოებით სამი წლის მანძილზე კოლექტივი მუშაობდა, ასე ვთქვათ, სხვის მოღვაწე. და მიუხედავად ამისა, სულ უფრო და უფრო იძინდა მსოფლიო უღრავლობას.

ჩვენ შევხვდით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და რეჟისორს რობერტ სტურუას. საუბარი არაა თქმა უნდა, დავიწყეთ კითხვით:

რა მოხდა თეატრის ცნობილი მკვლევარების შემდეგ?

პოლონეთში ვიზიტის შემდეგ ბულგარეთს ვეწვიეთ. 1984 წლის შემოდგომაზე კი დასავლეთ ბერლინის ფესტივალზე მივიღეთ მონაწილეობა და დავასრულეთ მისი პროგრამა ვარშავაში ნაჩვენები სპექტაკლებით. შემდგომ რამდენიმე ახალი სპექტაკლიც დავდგით: რუსტამ იბრაჰიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში“ და ამერიკელი დრამატურგის ლუისონის პიესა, რომელიც მივუძღვეით ამერიკელ პოეტსას — ემილია დიკინსონს. ჩვენმა თეატრალურმა ახალგაზრდობამ კი ძალზე საინტერესო სპექტაკლი „ლია აივანი“ დადგა, ქართული მწერლის შადიმან შამანაძის პიესის მიხედვით.

თეატრმა დამთავრა მუშაობა შექსპირის „მეფე ლირზე“. მანამდე კი განხორციელდა დადგმა სპექტაკლისა, რომელიც მივუძღვეით ფაშინაშვილის გამარჯვების მეორედაც წლისთვის. ტექსტი სპექტაკლისათვის დამუშავა თამაზ გოდერძიშვილმა მიხეილ კვეციელავას „ასერგასის დღეზე“ დაყრდნობით.

ეს გახლავთ სამაწილიანი მოთხრობა, თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, რომ რთული შეიქმნა ამ ნაწარმოების ფორმის განსაზღვრა, რადგანაც ბელეტრისტიკული თხრობა აქ ისეთი ტიპისა და პუბლიცისტიკის უდავი ექცევა. წიგნის ავტორი გახლავთ ნიურბერგის პროცესის მონაწილე. მწერალს აწუხებს კითხვა: შეუძლია თუ არა ომის საშინელების გადატანა კაცობრიობას, იგივე ტრაგედიის კვლავ განცდა? თამაზ გოდერძიშვილმა შემოგვთავაზე არა პროზაული ნაწარმოების ინსცენირება, არამედ ტექსტი სპექტაკლისათვის, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ნაწარმოების ხასიათი, მისი რთული ფორმა. მასში ხომ გადმოცემულია წინასწარმეტყველება იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც კაცობრიობას ემუქრება. სწორედ ამის აქცენტირება ჩვენი მიზანი.

რაქმდებოდა წლის წინ თეატრის ფორმაში აღმოჩენა ჩვენი საუკუნის დასაწყისის დროინდელი გონებრივი ნაპოვნი. იმთავითვე გამოითქვა ვაჟი, რომ კამი პატრიკი შიძლიაოდა ყოფილიყო ზიგაზუნა ვალიშვილისი. დადასტურდა თუ არა ეს პირობა?

— სამწუხაროდ, არა! ეს გახლავთ მართლაც ძალზე საინტერესო ფერწერული ნაწარმოები, მაგრამ იგი, არ ეკუთვნის შესანიშნავი კოლორისტიკის ზიგის ფუნქს, როგორც ვალიშვილის აქცენტირება. მისი ავტორები არიან დავით კაკაბაძე, ს. სულდვიანი და ლადო გულიაშვილი.

პოლონელებისათვის ცხოველ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ჭერ კიდევ შორეულ წლებში

აქ იყვნენ ზოგჯერ ვალიშვილი და დავით პიბიშვილი, რომელიც განისვენებს თბილისში. ამაზე საინტერესო მოთხრობა დაგვიწერა იური ნაგობინმა.

რით იწყება თეატრი მოღვაწეობას ბანახლეაულ შენობაში?

— ჩვენ ვფიქრობთ ორ სპექტაკლზე. ერთ-ერთი მათგანი რეჟისორი იქნება ცნობილი საბჭოთა თეატრალური მოღვაწე გიორგი ტოვსტონოგოვი, რომელმაც აქ, თბილისში დაიწყო თავისი სამსახიობო კარიერა, მუშაობდა თეატრალურ სასწავლებელში მასწავლებლად. აქვე მუშაობენ მისი მოწაფეები. თვითონ კი მჭიდროდა დაკავშირებული ჩვენს ქალაქთან — მისი დედა ხომ ქართველია...

ჩვენ გვახსოვს მისი ბრწყინვალე, მცირე ნოსტალგიით მომზადებული, ცაგარელის „ხანუმა“ დადგმა. „ხანუმა“ ლენინგრადის თეატრმა ჩამოიტანა პოლონეთში. გვახსოვს ტოვსტონოგოვის ნმა, რომელიც კითხულობდა ძველი თბილისისადმი მიძღვნილ სტრატეგებს. რამდენი სიტბო იყო მასში, რამდენი გულითადობა ამ ქალაქის მიმართ!..


ესე იგი, ერთ სპექტაკლს დადგამს ტოვსტონოგოვი, მეორე კი „მეფე ლირა“. რეპერტუარში გვექნება თანამედროვე, კლასიკური ეროვნული და ნათარგმნი პიესები..

ტყვას ეროვნული თეატრის სადისკუსიო თემაზე. ასე იმიტომ ვმსჯელობ, რომ ამ მიმართულებით უკვე ბევრს ცდილობენ თანამედროვე რეჟისორები. ოდესღაც მე ვკითხე ტოვსტონოგოვს, როგორ უნდა დაეღვათ სპექტაკლი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ეროვნული თეატრი. განსაკუთრებული კეთება არ მოგიწევთ, — მიპასუხა მან. — ამაზე არც უნდა იფიქროთ, რომელი სპექტაკლიც არ უნდა დადგათ თქვენ, მაინც ქართული წარმოდგენა გამოვლით.

როგორია აბრეშოვანის თეატრის მიმართული რეპერტუარი? რა არის მასში უმთავრესი?

მაყურებელს, რომელიც მოდის ჩვენთან, უნდა სწამდეს, რომ ამ სანახაობის ნახვა შეიძლება მხოლოდ ჩვენთან და მეტი არსად. ამიტომ მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვდგამთ დრამას უნივერსალურ პრობლემებზე, ვცდილობთ, წარმოვადგინოთ ისე, თითქოს იგი ჩვენი საქმე იყოს. და მეორეც, უნდა იცნობდნენ მაყურებელს. მე მაგალითად ვიცი, რომ ქართველებს ღლის წარმოდგენა, რომელიც შექმნილია ერთ სტილში და ერთი მანერით. სხვათა შორის მეც, როდესაც ასეთ სპექტაკლს ვუყურებ, ნახევარი საათი ჩემთვის სრულიად საკმარისია, რომ დავიღლო. მაყურებლის შთაბეჭდილება სხვადასხვაგვარი საშუალებებით უნდა გავაღვივო. უკვე ვახსენე ჩვენი

# „კავკასიური უღელტეხილი“



სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატთან, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, გამოჩენილ რეჟისორთან რობერტ სტურუასთან ურუნალ „დროშისათვის“ ინტერვიუს მიცემის არაერთგვის წარუმატებელი ცდის შემდეგ, ვაქვეყნებთ მასთან პოლონურ ურუნალ „პშიაზნი“-ში დასტამბულ საუბარს, რომელიც მარიუს ზონოვეცს მიჰყავდა.

თქვენი თეატრის ბასტროლში შემდეგ კოლონეთის თეატრალური პრემიის პრიზი პატივსაცემად, რომ ასეთი ბრძანების და შექსპირის ნახვა შეიძლება მხოლოდ სპარტოპოლიში. კიდევ თუ გვამჩნევს გადმომავალ და რუსთაველის თეატრი გვამჩნევს სტუმრად?

გვახსოვს, თქვენი რეცენზენტები ცდილობდნენ აეხსნათ, რით არის ჩვენი სპექტაკლები დავალებული ქართული კულტურისაგან და რით ევროპული თეატრისაგან.

თეატრი ჩვენში, დაწვებული XIX საუკუნის ბოლოდან, მართლაც დასავლეთის გავლენით აღმოცენდა. ამდენად მე მოცუებს კიდევ თქვენი კრიტიკოსების ზარი, მაგრამ ჩვენი ეროვნული თეატრის პრობლემა ძალიან რთულია. მისმა ერთ-ერთმა შემოქმედმა სანდრო ახმეტელმა განსაზღვრა მისი მიმართულება და ამით არტიტივის მწვერვალს მიადგინა. თანამედროვე რეჟისორებს სურთ, მოაქონონ საკუთარი გზა, რაც არც ისე ადვილია, მე ვფიქრობ, ორიოდე წლის შემდეგ ჩვენ უნდა ველოდოთ სპექტაკლს, რომელიც იტყვის ახალ სი-

ახალგაზრდობის სპექტაკლი „ლია აივანი“. ეს არის წარმოდგენა, რომელსაც უწოდებენ შიპერნატურალისტურს.

მე ვეთანხმები ამ განსაზღვრას, რადგან საქმე გვაქვს ფოტოგრაფიულ სიზუსტესთან. მაგრამ ამავე დროს ეს გახლავთ ძალზე პირობითი სპექტაკლი და იგი აგებულია თითქოსდა სურათების ფრაგმენტებისაგან.

ვფიქრობ, თუ ჩვენი სპექტაკლები რამით გამოირჩევა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური დრამაა და ფარსით, კომედიითა და ტრაგედიით, მუსიკალურ სანახაობასთან ერთად. ცხადია, ეს, ალბათ, დიდ საშიშროებას გვიქმნის, მაგრამ ამის თავიდან აცილება განა შეიძლება? საქმე ის გახლავთ, რომ მაყურებელს უნდა უთხრა სიმართლე, რისთვისაც იმპრვი. ჩვენი თეატრი კი ყოველთვის იმპროვა ყველაფრის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ადამიანის ისარგებლოს თავისუფლების უფლებით.

გვამდგომთ საუბრისათვის.

პოლონურიდან თარგმნა ა. გარშაბაშვილი.








# როსა ბოლქვი ქირალ ფასოს

„ოქროს ბუცი“  
გულოჯალი



**თარგუმალად:** 7. ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ; 8. სპორტული კლუბის ან ცალკეულ სპორტსმენების პატრონი, სპორტულ შეჯიბრებათა მომწყობი; 10. ალეგორიული მოთხრობა; 11. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი ასურეთის წყლის ხეობაში; 12. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბის“ პერსონაჟი; 15. ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი; 17. ცნობილი პოლანდიელი ფეხბურთელი; 18. ბრაზილიის ფეხბურთის გუნდი; 19. რაიმე ფაქტის, ამბის ერთი ან ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე შესაძლო ახსნა, გადმოცემა; 20. ტროიკული მცენარე, გამოყოფს შხამიან წვეს; 24. ფირნიში; 25. თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, რომელსაც დაერთვის ტვინის ქსოვილების დაზიანება და ფუნქციის მოშლა; 26. ბუნებრივი მინერალური საღებავი; 29. სინამდვილის დამახინჯებული აქმა, განუხორციელებელი ოცნება; 30. მეტყველების უნარის უქონლობა ან შეზღუდვა; 31. XVII ს. უზბეკი პოეტი; 33. სახელმწიფო ამერიკაში; 34. იალქნაიანი და ნიჩბიანი გემების ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი.

**შვეულად:** 1. კაპიტალისტურ ქვეყნებში: სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა; 2. მამაკაცისა და ქალის ტრადიციული ტანსაცმელი იაპონიაში; 3. ძველი ხალხური თქმულება ღმერთებსა და გმირებს, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე; 4. გ. ტაბიძის ლექსი; 5. აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი; 6. განსწავლულობა, ნაკითხობა, ღრმა, მრავალმხრივი ცოდნა; 7. ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა, სანადირო ფრინველი; 13. მდინარის ღრმა ხეობა, ციცაბო ფერდობებითა და ვიწრო ფსკერით, რომელიც მთლიანად მდინარის კალაპოტს უყავია; 14. მარცვლოვანი აგებულიების მთის მგაჯარი კრისტალური ქანი; 16. ასპარეზი, სარბიელი, მოედანი, ცირკის მანეთი; 18. ერთგვარი წითელი ღვინო; 21. ძეგლი, რომელიც წარმოადგენს თლილი ქვის დაკუთხვილ, ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებულ სვეტს; 22. უწყინარი დაცინვა, რაიმე ნაკლოვანი მხარის კომიკური ასახვა; 23. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს სამხატვრო კულტურულ-ისტორიული მუზეუმი; 27. იაპონიის იმპერატორების ტიტული, ამ ტიტულის მქონე პირი; 28. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სწრაფი ტემპი; 31. ძველებრადული მოძღვრება, კანონი; 32. დაკოდილი ცხენი.

**შეადგინა ვაჟა მამრამაძე**

**„დროსა“ № 7-ში გამოქვეყნებული პროსპორტის პასუხები**

**თარგუმალად:** 7. ფარგალი; 8. დოტაცია; 9. აბალაკოვი; 10. პრატოლინი; 12. ბეთანია; 15. კომპოტი; 17. პონრო; 18. აშული; 19. ენოტი; 22. რისკი; 23. ასპექტი; 25. არბიტრი; 27. მეტრონომი; 30. ბიუტერია; 31. აბაჟური; 32. იმპორტი.

**შვეულად:** 1. მაგმა; 2. „პრადო“; 3. მაჩაბელი; 4. ალიონი; 5. მონაკო; 6. მინისტრი; 11. კონტექტი; 13. აბაშიძე; 14. აპრიორი; 15. კოლეგია; 16. პორტალი; 20. მასშტაბი; 21. პორტრეტი; 24. ტემბრი; 26. რეჟიმი; 28. ნუჟი; 30. ტროსი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: სლავიები: იური რიდალოვისა, ოთარ თურქიასი, ანატოლი რუხაძისა, ვიქტორ ჭეიარანკლისა და თარხან არჩვაძისა.

გადაეცა წარმოებას 08. 07. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდვად 31. 07. 87. უე 05998. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფაქტური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 1661. ფახი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

## პ

ისი უმაღლესობა გოლი“ ფეხბურთში მეტად დაფასებული და პატივცემული რამ არის! „ოქროს ბუცი“ — ფეხბურთში დიდად საპატიო ჯილდოდ ითვლება. „ოქროს ბუცი“ ნომი სნაიპერს ენიჭება, ვინც ევროპის ჩემპიონატებში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს. ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვის დარჩება ეს პრიზი 1987 წელს, მის მონიჭებამდე დიდი დროა.

1986 წელს კი „ოქროს ბუცი“ მარკო ვან ბასტენს მიენიჭა. ვინ არის იგი? ვან ბასტენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფეხბურთელია, დაიბადა 1964 წლის 3 ოქტომბერს, პოლანდიის ქალაქ უტრეხტში. უკვე 16 წლისა ამსტერდამის ვანთქმულ კლუბ „აიაქსის“ წევრი გახდა, რომელიც 70-იან წლებში იოჰან კრუიფის წინამძღოლობით მთელ მსოფლიოში გრგვინავდა. საუურადღებოა, რომ ჩაირიცხა თუ არა ჭაბუკი ვან ბასტენი „აიაქსში“, მას მყისვე „ახალი კრუიფი“ უწოდეს, რაც დიდ აღიარებას ნიშნავდა. ამავე დროს ვან ბასტენს, ცხადია, კარგად ესმოდა, რომ ნამდვილ კრუიფობად (თუ მისი მიღწევა საერთოდ შეიძლება) ჯერ კიდევ შორს იყო. ვან ბასტენი უურადღებებს იპყრობდა, როგორც სნაიპერი, კრუიფს კი მრავალი სხვა ღირსებაც ჰქონდა.

თავისი პირველი სეზონის მანძილზე ვან ბასტენმა ეროვნულ ჩემპიონატში 9 გოლი გაიტანა. ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ, ცხადია, „აიაქსის“ ჩემპიონის წოდება სხვა უფრო გამოსდელი სნაიპერებმა მოუტანეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ კლუბში სომ ჯერ კიდევ თამაშობდა თვით კრუიფი. მომდევნო წელს კრუიფმა — „მფრინავმა პოლანდიელმა“, „აიაქსი“ დატოვა. კლუბის საქმეები ნამდვილად ცუდად წავიდოდა, ახლა უკვე ვან ბასტენს რომ არ გამოეჩინა თავი. მან 28 ბურთი გაიტანა, პოლანდიის ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა „აიაქსის“ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი მოუტანა. ევროპაში ვანტ ბასტენზე უკეთესი შედეგი ამ წელს მხოლოდ განთქმულ იან რაშს ჰქონდა.

ნადა, მაგრამ „ვერცხლის ბუცის“ დაუფლებაც ბრწყინვალე წარმატებად ჩათვალა. თავისი მესამე სეზონის მანძილზე „აიაქსში“ ვან ბასტენმა 22 ბურთი გაიტანა და, თუკი ასეთი შედეგის სხვებისთვის შესანიშნავი რამ არის, თავად უმეყოფილო დარჩა. ვან ბასტენი თვლიდა, რომ მისი თამაში „ჩინში მოემწყვედა“, რომ საჭირო იყო „სასწრაფო ზომების მიღება“ და ა. შ.

გავიდა კიდევ ერთი წელი. „აიაქსის“ დაუბრუნდა კრუიფი, ამჯერად, როგორც მწვრთნელი. მას არ დავიწყებია თავისი ძველი, საოცარი საგოლე ინტუიციის მქონე ახალგაზრდა პარტნიორი, ხოლო იქ, სადაც კრუიფია, შეტევა და ცეცხლიც სუფევს. ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატი, იოჰან კრუიფის ნამდვილი ფოკერკო. ის, რაც თვითონ იცოდა, კრუიფმა ახლა სხვას ასწავლა. „აიაქსმა“ ამ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში 113 ბურთი გაიტანა. და ეს მაშინ, როცა გოლი ევროპაში — და არა მარტო ევროპაში! — სულ უფრო ძვირად ფასობს, და ამ 113 ბურთიდან 37 მარკო ვან ბასტენის პირად ანგარიშზე იყო. რისთვისაც „ოქროს ბუცი“ მიენიჭა კიდევ.

ფეხბურთში არაერთი „ჭალათი მწვრთნელი“ და „ჭალათი მცველი“ არსებობს. 1986-87 წლების სეზონში ვან ბასტენის ნავარდობა (შესაძლოა, დროებითი) დამთავრდა. მას უმოწყალოდ ურტყამდნენ. ტრავმა ტრავმას მოჰყვა. ასეთია სნაიპერის ხვედრი — იგი სხვებზე უფრო ხშირად აღმოჩნდება ხოლმე საავადმყოფოში. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება ვან ბასტენის „მოსავალი“ წლევანდელი სეზონის ბოლოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი ამჯერად „ოქროს ბუცის“ ვეღარ დაეუფლება. თუმცა, ის, რაც 28 წლის ფეხბურთელმა უკვე მოახსრო, მართლაც და საუურადღებო მიღწევაა — მის სპორტულ კოლექციას სომ „ვერცხლის ბუციც“ ამუშვენებს და „ოქროს ბუციც“.

**გივი გამრამაძე**

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69. განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოში — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





უბერებელნი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.



ფოტო გოგი ცაგარელისა.

მხარული ფოსტალონები.



შეხვედრა მთაში.

ფოტო გ. ცაგარელისა.



ისევ ხუთიანი.





ეროვნული  
ბიზნისოთვაკა

